ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 19 დეკემბერი, 2018 | №300 (7845) | ფასი: 60 თეთრი

ანა ტყეშელაშვილი, რომელიც მტკვარში ბანკის ვალების გამო გადახტა, 500 ლარით დააჯარიმეს?

გვ.7



# „გიორგი ვაშაძესა და ნიკა მელიას დაკავების არ ეშინიათ“





გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „პატიმარი კირკიტაძე უფრო თავისუფალია, ვიდრე ივანიშვილის მონა შს მინისტრი გახარია“



„სალომე ზურაბიშვილი ბუტკა-ბუტკა მართავს შეხვედრებს და ქვეყანას არცხვენს“

## კახა კოჟორიძე: „პასუხისმგებლობის მხოლოდ კირკიტაძისთვის დაკისრება შერჩევითი სამართლის ნიშნებს აჩენს“

„16 დეკემბერს რიგ შემთხვევებში დანაშაულის ნიშნები იყო და ასევე – კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის ნიშნებიც“

გვ.4





გვ.5

## კონსტანტინე გამსახურდია: „არის რამდენიმე პირი, რომლებსაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობისთვის შეიძლება ბრალი წაეყენოთ“




## სამართალი

გვ.7



ნაცემი სამხედრო დავით ბერიშვილი რუსთავი 2-ში მივიდა

ის ცემას ელგუჯა ბიბინიძეს აბრალებს

გურამ დონაძეს, ირაკლი ფირცხალავას, ზურა მიქაძესა და დავით იაშვილს ბუტა რობაქიძის საქმეზე 5-5 წლით პატიმრობა შეეფარდათ





34 წლის მოშიმშილე პატიმარი გიო ფასიეშვილი გლდანის ციხეში გარდაიცვალა

ზაზა სარალიძე: „ბორცვაძე დამპირდა, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება“



## ეკონომიკა

გვ.6

## მთავრობა „ფოსტას“ ყიდის

საქართველოს ფოსტა

ცხინვალში ენერგოკრიზისია




ვასილ ახრახაძე: „სიტუაცია დღითიდღე უკონტროლო ხდება და იშლება ზღვარი სადაზღვევო და საბანკო ინდუსტრიებს შორის“



ISSN 1987-9385

4 ცხინვალი ატოციდან ანტისაოკუპაციო ჯგუფის გასვლას ითხოვს

3 კახა კუკავა: „ის მუხლი, რომლითაც კირკიტაძე დააკავეს, პირველად ნაციონალებმა გამოიყენეს ჩვენ წინააღმდეგ“

5 ლავროვი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს თბილისის აგრესიისგან იცავს

3 რამაზ საყვარელიძე: „დღეს ხელისუფლება მომგებიან პოზიციაშია“

# „გიორგი ვაშაძესა და ნიკა მელიას დაკავების არ ეშინიათ“

## ლევან ხაბეიშვილი: „პატიმარი კირკიტაძე უფრო თავისუფალია, ვიდრე ივანიშვილის მონა შს მინისტრი გახარია“

შორენა მარსაგიშვილი

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლება მისი და ნიკა მელიას დაკავებას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნების“ გუნდი მელიასთვის პარლამენტის წევრის იმუნიტეტის მოხსნის საკითხს განიხილავს.**

ვაშაძისა და მელიას დაკავებას არც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი გამორიცხავს. ის ამბობს, რომ ხელისუფლება სამართლებრივი სივრციდან არის გასული და მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

რა გეგმით იმუშავებს ოპოზიცია, რატომ არ ეშინიათ მათ დაკავების, ვინ უნდა წავიდეს ციხეში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

***– გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლება მისი და ნიკა მელიას დაკავების საკითხს განიხილავს. თქვენი აზრით, წავა „ქართული ოცნება“ ამაზე?***

– აქ უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, მელიას დაიჭერენ, ხაბეიშვილს თუ ვაშაძეს. აქ მთავარია ის, რომ, არჩევნებიდან მოყოლებული, ხელისუფლება სამართლებრივი ველიდან არის გასული.

მათ მოგვპარეს არჩევნები. ყველამ ვნახეთ კადრებით ის ხალხი, ვინც არჩევნებს აყალბებდა. ამ დრომდე არც ერთი მათგანი დაკავებული არ არის. არჩევნების გაყალბებაზე უშუალო პასუხისმგებელი არის თამარ ჟვანია, რომელიც დაკითხულიც კი არ არის.

ასევე ვნახეთ, როგორ გაუსწორდა პარლამენტის დეპუტატი ენზელ მკოიანი ჩვენს თანამებრძოლებს. მკოიანთან ერთად ამ სისხლიან გარჩევაში სხვებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ დრომდე დაკავებული არ არის.

არჩევნების წინ ონში ჩვენი საარჩევნო შტაბის უფროსი მძიმედ დაგვიჭრეს. ეს ადამიანი დღემდე სიკვდილს ებრძვის, მაგრამ არც ამ საქმეზეა ვინმე დაკავებული.

ხელისუფლების რეპრესიებს ზუგდიდში ია კერზაია შეეწირა. არც ამაზეა საქმე აღძრული. ია კერზაიას გარდაცვალებაზე უშუალო პასუხისმგებელი არის გიორგი გახარია. ვისაც არ უნდა ამის დაჯერება, ის სირაქლემის პოზაში დარჩეს. ფაქტი ის არის,



რომ ქალის სიცოცხლე შეიწირეს.

და ამ ფონზე დავით კირკიტაძე დააკავეს და მას ედავებიან რაღაცას. იმათ არავინ აკავებს, ვინც ჩვენი მხარდამჭერი დუბინკებით ცემა. არც ის ადამიანია დაკავებული, ვინც ჩვენ მხარდამჭერებს გაზი შეასხა. არადა, ამის გამკეთებელი იდენტიფიცირებულია. ეს პირი ტელევიზიითაც ანახეს, მაგრამ დაკავებული არავინ არის. სამაგიეროდ, პოლიტიკური ოპონენტების დევნა მიმდინარეობს.

დაკავებულია დავით კირკიტაძე, სამაგიეროდ, თავისუფალია ოთარ ფარცხალაძე, რომელმაც დაწერილი დასკვნის გამო აუდიტის სამსახურის უფროსი ცემა და ამის ამსახველი კადრებიც ყველამ ვნახეთ.

ამის გამო ფარცხალაძე არავის დაუკავებია. აღარაფერს ვამბობ ლევან ყიფიანის დასარდაფებაზე. არც ამაზე უგია ამ პირს პასუხი. ისე შეუფარდეს ფარცხალაძეს 5.000– ლარიანი გირაო, ერთი წამით არ დაუკავებია არავის.

***– თქვენი აზრით, კირკიტაძემ არ ჩაიდინა დანაშაული? თუ ის იმიტომ არ უნდა დაეკავებინათ, რომ ეს ტიპები არ დააკავეს?***

– და რას ედავებიან კირკიტაძეს? მას სამართალდამცავებისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. პოლიციის ფორმაში გადაცმული ვინმე რომ სახლში შემოგივარდეს, ვინ იქნება ის, სამართალდამცავი თუ ყაჩაღი? რა თქმა უნდა, ყაჩაღი.

დაახლოებით ასეთივე რამე მოხდა დავით კირკიტაძესთან დაკავშირებით. კი, იმ ვიღაცას ფორმა ეცვა, მაგრამ არღვევდა კანონს. დიდი ბოდიში, მაგრამ რა უნდოდა სამოქალაქო ავტობუსში პოლიციელს, რომელსაც საერთოდ არ ეწერა, რომ პოლიციელი იყო.

***– კირკიტაძეს რაღა უნდოდა იმ ავტობუსში?***

– კირკიტაძე იმიტომ ავიდა ავტობუსში, რომ გზიდან გადაეყენებინა. ის შეიძლებოდა, ტრაილერებით რომ ჩაგვიხერგეს გზა? ამათ ათასობით ადამიანს შეუქმნეს გადაადგილების პრობლემა.

5-კილომეტრიანი კოლონა იყო, მანქანები რომ გაიჭედნენ ადგილზე, სასწრაფო ველარ მივიდა, რომ ცუდად მყოფი ქალისთვის დახმარება გაეწიათ. ფაქტობრივად, სიგიჟე ჩაიდინეს და ესენი კირკიტაძეს რაზე ედავებიან, არ მესმის.

***– ზემოთ თქვით, რომ ხელისუფლება გასულია სამართლებრივი სივრციდან. ეს ყველაფერი, რაც ხდება, ამის ბრალია თუ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას აქვს ადგილი? ზოგი-***



***ერთი თქვენი თანამებრძოლი ანგარიშსწორებაზე საუბრობს.***

– ერთიც არის და მეორეც. ანგარიშსწორება ამ ქვეყანაში კარგად არავის დამთავრებია. ძალიან დიდი არა ვარ, რომ ეს ყველაფერი მენახა, მაგრამ უახლესი ისტორია ხომ ვიცი. ეს ისტორია კი იმის თქმის უფლებას მაძლევს, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორება არავის შერჩენია.

პოლიტიკური დევნა არც ამათ შერჩებათ. დავით კირკიტაძის წინააღმდეგ კი სწორედ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს.

***– რისთვის დევნიან მას პოლიტიკური ნიშნით?***

– რისთვის? ის არის პარტიის რეგიონული ლიდერი. კარგად იცით, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში რა დაემართა „ოცნებას“ რეგიონებში. ქალაქი რუსთავი უშუალოდ დათოს ეკუთვნოდა და მეორე ტურში ეს ქალაქი მან ქოცებს პირწმინდად მოუგო.

ათასნაირი გაყალბება იყო, მაგრამ კირკიტაძემ მაინც მოიგო და ამას ვერ პატიობენ. შეიძლება, კირკიტაძე არ მოგწონდეს, მაგრამ, რაც მე ვილაპარაკე, ეს არის ფაქტები.

***– მოდით, ნიკა მელიასა და გიორგი ვაშაძეს დავუბრუნდეთ. გაბედავს ხელისუფლება მათ დაკავებას?***

– მკითხველთან ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმაზე, მაგრამ ფეხები არავის მოსჭამონ. ციხის არავის ეშინია. შენ რა გგონია, კირკიტაძეს ეშინია პატიმრობის?! დღეს პატიმარი კირკიტაძე უფრო თავისუფალია, ვიდრე თანამდებობაზე მყოფი გახარია, რომელიც ივანიშვილის მონაა. დღეს კირკიტაძეზე თავისუფალი ადამიანი არ მეგულება. ის, უბრალოდ, ტყვედ არის ჩავარდნილი.

ეს ანგარიშსწორებები რომ დაიწყეს, რა ჰგონიათ, შეგვაშინებენ? არ გვეშინია. რამდენ ლიდერს დაიჭერენ, მაინტერესებს. და რა ჰგონიათ, რომ ამ დაჭერების გამო ვინმე ბრძოლას შეწყვეტს? გამორიცხულია.

***– ხელისუფლება რატომ მიდის ამ უგუნურებაზე? მათ ხომ კარგად იციან, ამას რა რეაქციები მოჰყვება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.***

– იციან, მაგრამ, თქვენ რა გგონიათ, ამათ ქვეყნის იმიჯი აინტერესებთ? ამათ ქვეყანაც და მისი იმიჯიც ფეხებზე ჰკიდიათ. ფეხებზე რომ არ ეკიდოთ, იმას გააკეთებდნენ, რაც გააკეთეს? ყველა საერთაშორისო დასკვნაში წერია, რომ ეს არჩევნები იყო უკან გადადგმული ნაბიჯი.

2003 წელს შევარდნაძემ რომ არჩევნები ჩაატარა და რევოლუცია მოჰყვა, ხომ გახსოვთ? მაშინ არ უთქვამს ევროპას, რომ ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი. შევარდნაძის მიერ ჩატარებულ არჩევნებზე არსად დაწერილა, რომ მოსყიდვასა და ძალადობას ჰქონდა ადგილი.

დღეს ეს დაწერეს და ეს არის საქართველოს სირცხვილი. დემოკრატიას დაცვა სჭირდება. ჩვენ მაგივრად დემოკრატიის დასაცავად ევროპა არ იბრძოლებს. ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

ჩვენ ხალხთან ერთად ამას გავაკეთებთ და საქართველოს გახარიებს, ივანიშვილებსა და ფარცხალაძეებს არ დავუთმობთ.

***– ვინ არ დაუთმობს საქართველოს თქვენ მიერ ჩამოთვლილ პერსონებს, ნაციონალები?***

– რატომ ნაციონალები? საქართველოს ამ გამყიდველებს ხალხი არ დაუთმობს. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ არჩევნებზე 900.000 ხმა ავიღეთ. ამდენი ხმა ყაჩაღი თამარ ჟვანიას პირობებში მივიღეთ. ეს არის ძალიან დიდი შედეგი.

გაყალბების მიუხედავად, ლამის მილიონი ხმა ავიღეთ და ახლა რა გგონიათ, რომ ეს ხალხი სახლში წავა? არსადაც არ წავალთ და არც სამშობლოს დავუთმობთ ვინმეს. ჩვენ ამის დათმობის უფლება არა გვაქვს.

რა უნდა დავუთმოთ, სალომე ზურაბიშვილი სასტუმრო-სასტუმრო და ბუტკა-ბუტკა რომ მართავს შეხვედრებს და ქვეყანას არცხვენს?!

***– ბუტკა-ბუტკა რატომ დადის?***

– ათონელზე რეზიდენცია დასრულებული არ არის. იქ შეხვედრას ვერ გამართავს. ივანიშვილს რადგან არ უნდა, ავლაბრის რეზიდენციაში არ შედის და ბუტკა-ბუტკა დადის.

იმაზე აღარაფერს ვამბობ, გმირთა მემორიალთან რომ მიიპარა და გვირგვინი საიდუმლოდ მიიტანა.



***– სალომე ზურაბიშვილი ბუტკა-ბუტკა დადისო და თქვენ გაქვთ რაიმე გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა იაროთ და იმოქმედოთ?***

– ჩვენ გვაქვს იმის სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა კრიზისიდან. ქვეყანა კრიზისიდან რომ გამოვიყვანოთ, ამისთვის ოლიგარქი უნდა მოვიშოროთ თავიდან.

***– ეს ოლიგარქი როგორ უნდა მოიშოროთ, ამის გეგმა თუ გაქვთ?***

– ოლიგარქი და მისი „ოცნება“ გასული არიან სამართლებრივი სივრციდან. ამ დროს რა სამოქმედო გეგმაზეა საუბარი. გიმეორებთ, ჩვენ გვაქვს გეგმა, თუ როგორ გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისიდან.

***– ახლა რა გეგმა გაქვთ?***

– ახლა ასეთი გეგმა გვაქვს, რომ ხელისუფლებას მუდმივ პრესინგში ვამყოფებთ. გამორიცხულია, ეს საპროტესტო ტალღა არ გაჩერდება.

ეს ამბავი ასე მარტივად არ დამთავრდება, პროტესტი გადაინაცვლებს პარლამენტში, კანცელარიაში, სხვადასხვა სამინისტროში. პროტესტი იქნება მანამ, სანამ არ იქნება შედეგი.

***– შედეგი რა უნდა იყოს?***

– საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს და სამართლიანი არჩევნები უნდა ჩატარდეს. არჩევნები უცხოელმა დამკვირვებლებმა უნდა ჩაატარონ. ამათი ცესკო სამართლიან არჩევნებს არ ჩაატარებს.

ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები და დაე, ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ მოვა ხელისუფლებაში. დარწმუნებული ვარ, აქამდე აუცილებლად მივალთ.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ თქვენ არეულობის მოწყობა გინდათ.***

– რა გადატრიალება, რა არეულობა? ერთიც და მეორეც აწყობდა ხელისუფლებას. ჩვენ ამაზე არასდროდეს წავალთ. თავად რომ ოპოზიციაში იყვნენ, მაშინ ძალადობა იყო მათი სავიზიტო ბარათი.

კირკიტაძეზე რომ ლაპარაკობენ, ეგენი არ იყვნენ, მანქანებს კეტებსა და ქვებს რომ ურტყამდნენ? იმას რომ გაიძახიან, მიშას დროს ასეთი რამე რომ მომხდარიყო, რას იზამდნენო, თავად რას აკეთებდნენ, არ ახსოვთ? პატარა გრეჩიხა არ იყო, პოლიციის სამმართველოს ეზოში რომ გადახტა?!

აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ამ წუთას რომელიმე ჩვენგანი პოლიციის სამმართველოს ეზოში რომ გადახტეს.

რაზე ვლაპარაკობთ, ხალხო. ასეთი პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია საქართველოს ჯერ არ ჰყოლია. მაგათ სამი თვის განმავლობაში რუსთაველი ააყროლეს. სამი თვე საკნები ჰქონდათ გამართული და იქ ცხოვრობდნენ.

რაღაცა ითმინა იმ ხელისუფლებამ, მერე ვიღაცას ხელი წაუცდა და აქცია დაარბია. ეს იყო ძალიან ცუდი. ისიც იცოდეთ, რომ ვინც მაშინ ოპოზიციას არბევდა, ახლა ხელისუფლებაშია.



## ხატია დეკანოიძე: „საქართველოში თავისუფალ მართლმსაჯულებას ვერ ვხედავ და ეს არაერთხელ დამტკიცდა“

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში იყოს ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც არ დაბადებს არავითარ კითხვას.

ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ ბუტა რობაქიძის საქმეზე გამოტანილი განაჩენის შეფასებისას ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ის განაჩენის შინაარსს არ იცნობს, თუმცა, ზოგადად საქართველოში სამართლიან მართლმსაჯულებას ვერ ხედავს.

– მე განაჩენს არ ვიცნობ. მართლა არ მინახავს. რეალურად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში იყოს ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც არ დაბადებს არავითარ კითხვას. მე საქართველოში თავისუფალ მართლმსაჯულებას ვერ ვხედავ და ეს არაერთხელ დამტკიცდა. რეალურად, ჩვენ ყველა ზუსტად იმისთვის ვიბრძვით, რომ სასამართლოს, მართლმსაჯულების სისტემა, ბრალდების მხარე დემოკრატიული პროცესების ადეკვატური იყოს და არა იმ პრინციპების, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ემხრობა, – აღნიშნა ხატია დეკანოიძე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „დღეს ხელისუფლება მომგებიან პოზიციაშია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, რამდენიმე დღის წინ განვითარებული პოლიტიკური პროცესი დასრულდა თუ მას შეიძლება გაგრძელება ჰქონდეს?***

– მე ამას პოლიტიკურ პროცესს ვერც კი დავარქმევდი, რადგან ჩვენ საქმე გვქონდა არა პოლიტიკურ პროცესთან, რომელიც ყოველთვის რაღაც შედეგზე არის ორიენტირებული, არამედ უბრალოდ ხმაურთან და არეულობის მცდელობასთან. ამიტომ, მიჭირს, მე ამ პროცესს პოლიტიკური ვუწოდო.

***– ნაციონალური მოძრაობა პერმანენტულ აქციებს აანონსებს და კირკიტაძის დაკავებას პოლიტიკურს უწოდებს. ამაზე რას იტყვით?***

– კირკიტაძეზე უკვე გვითხრეს, პოლიტპატიმარიაო. კირკიტაძეც ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორც ვანო მერაბიშვილი, რომელიც პირდაპირ ეთერში ითხოვდა ორ „ტრუპს“. ხომ ვნახეთ, რას სჩადიოდა კირკიტაძე?! ხომ არსებობს ამის ამსახველი ვიდეო-კადრები?! ეს რომ მომხდარიყო სხვა ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაში, როგორ დამთავრდებოდა ეს საქმე იქ, ძალიან მაინტერესებს!

მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სხვადასხვა რანგის მოსაწვევები იყო დარიგებული. იქიდან ვინმეს რომ მოენდომებინა გადაადგილება რაღაც სხვა მიმართულებით, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამერიკული პოლიცია მოქცეულიყო ისე, როგორც საქართველოს პოლიცია მოიქცა. არსებობს სტანდარტი და ამ სტანდარტის შესაბამისად იქცევა ყველა. ჩვენი პოლიციის სტანდარტი დასავლურ სტანდარტს ემთხვევა. იმ დღეს ჩვენი პოლიცია მოწოდების სიმაღლეზე იყო.

***– თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ ნაციონალურ მოძრაობას რეალურად არ სურდა საპროტესტო აქციის გამართვა?***

– დიახ, ეჭვი მეპარება. რა შედეგით უნდა დასრულებულიყო მათი აქცია?! ვერაფერს ხომ ვერ გააკეთებდნენ?! ინაუგურაციას ვერ ჩაშლიდნენ, შედეგი რა იქნებოდა?! არაფერი. ამიტომ ის, რაც მოაწყვეს, მათ აწყობდათ.

მეეჭვება, რომელიმე პარტიას ჰქონოდა ისეთი მედიაკომფორტი, როგორც ეს ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა. მთელი საქართველოს მედია მათ აშუქებდა. მეტი დაფიქსირება რა გინდა. თუ მიზანი ეს იყო, ეს მიზანი მიღწეული იყო. ზუსტად იყო შესრულებული. მათ უნდოდათ აყალ-მაყალი, ყოველგვარი შედეგის გარეშე და ეს შეძლეს. აბა გრიგოლ ვაშაძე თუ ჩავიდა დანიშნულების ადგილზე, სხვა რატომ ვერ ჩავიდა?! ეს კითხვა ხომ ლოგიკურია.

თუ მშვიდობიანად უნდათ ხელისუფლების შეცვლა, არჩევნებს დაელოდონ. არც ისე დიდი დროა დარჩენილი. მოემზადონ, მოიპოვონ ხალხის ნდობა, რომელიც საკმარისი იქნება ხელისუფლებაში მოსასვლელად და მოვიდნენ, მაგრამ მათ ამ გზით სიარული არ უნდათ.

***– აბა რა უნდათ?***

– დღეს უკვე ეჭვიც კი მეპარება, რომ 800 ათასი ხმა მართლა აიღეს, რადგან ფაქტია, რომ არც თბილისში და არც ველისციხეში ხალხის რაოდენობა არ იყო იმ პროპორციების, რომელიც 800 ათასს შეესაბამება. 800 ათასის 1 პროცენტიც კი არ გამოსულა ქუჩაში.

***– ეს ცესკოს მონაცემებია.***

– გასაგებია. თუ ასე გააგრძელებენ, მერწმუნეთ, ისინი ამ ხმებსაც დაკარგავენ. ეს ყველაფერი, ახლა რაც ვითარდება, ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.



***– მოქმედების გეგმა არ აქვთ?***

– ეს აშკარად ჩანს, რომ მათ არავითარი გეგმა არ აქვთ. ეს არის პროცესი, რომლის შინაარსიც არის ასეთი: ხელს შეგიშლით ნორმალურ ცხოვრებაში თუ არ დაკმაყოფილდა ჩვენი მოთხოვნები. ეს ხომ არ არის პოლიტიკა. სახელმწიფოს ხარჯზე შენი კარგად ყოფნა ხომ არ არის პოლიტიკის ამოცანა?!

***– რამდენად რაციონალურია მათი მოთხოვნები საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან და ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით?***

– პროპორციულ სისტემაზე გადასვლას შეიძლება ხელისუფლება მართლაც დათანხმდეს. პროპორციული სისტემა არის ერთადერთი სისტემა, სადაც პარტია იღებს ზუსტად იმდენ მანდატს, რამდენი ხმაც მან არჩევნებზე მიიღო. და რა ხეირი ნაციონალურ მოძრაობას ამ სისტემისგან?! პატარ-პატარა პარტიებზე საერთოდ არ მაქვს საუბარი. მათ რა პერსპექტივა აქვთ?!

ისინი რა ხმას არიან აყოლილები, ეს საერთოდ გაუგებარია. თუ ერთი კაცი ვერ გაჰყავს პარტიას, მაგალითად, მაჟორიტარულ ოლქში, ის პარტიულ სიას გაიყვანს?! ამიტომ, ეს მოთხოვნაც, ვერ გეტყვით, რამდენად სასარგებლოა მათთვის. ეს მოთხოვნაც ხელს აძლევს ხელისუფლებას, უფრო კონკრეტულად „ქართულ ოცნებას“, ისევე, როგორც ვადამდელი არჩევნები.

ამიტომ, დღეს მაინც მომგებიან პოზიციაში არის ხელისუფლება და არა – ოპოზიცია. ოპოზიციის ქმედებებს, უფრო ზუსტად კი ნაციონალური მოძრაობის ქმედებებს, ძალიან აკლია ჭკუა, რაციონალური ნაბიჯები.

ქვეყანაში არეულობა და დესტაბილიზაცია, სააკაშვილის გარდა, კიდევ რუსეთს აწყობს. არეულობა იმ რუსეთის ინტერესშია, რომელსაც გუშინ მსოფლიო ბანმა უმღერა.

***– გიორგი ვაშაძე პაატა ბურჭულაძისგან განმარტებებს ითხოვს.***

– საინტერესოა, რა განმარტებები ექნება.

# კახა კუკავა: „ის მუხლი, რომლითაც კირკიტაძე დააკავეს, პირველად ნაციონალებმა გამოიყენეს ჩვენ წინააღმდეგ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს?***

– წლები გადის და ჩვენმა ხელისუფლებებმა ვერც ვერაფერი დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს. ეს 200 წლის წინ ნათქვამი სიტყვები ასეულობით რეჟიმზე ვრცელდება უცვლელად. ყველა ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს. ჩვენ, მარტო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სამჯერ თუ ოთხჯერ ვნახეთ, რომ რეჟიმები უშვებენ ზუსტად ერთსა და იმავე შეცდომებს და ამთავრებენ მერე ტრაგიკულად. ასევე ვნახეთ ზუსტად იგივე სცენარები უკრაინაში, სომხეთში და ასე შემდეგ. საოცარი ის არის, რომ ვერავინ აქედან ვერ სწავლობს და უშვებენ ზუსტად იმავე შეცდომებს.

***– „ოცნებაც“ იმავე შეცდომას უშვებს?***

– ძალიან ცოტა რჩება შანსი იმისა, რომ რაიმე სხვა სცენარით განვითარდეს და ალბათ იქნება იგივე სცენარი, რაც ჩვენ არაერთხელ გვინახავს და საქართველოში ისევ დადგება ხელისუფლების რევოლუციური გზით ცვლის საკითხი, როგორც პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი ამოცანა.

მე პირადად და ჩვენი გუნდი, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებას მოვუწოდებდით დიალოგისკენ. აი, ეს არის გამოსავალი, მაგრამ არა. ხელისუფლება თვითონ ჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის.

დიალოგი კი არა, რომ ვუსმენ ხელისუფლების კომენტარებს, მათში მხოლოდ ცინიზმი და უტიფრობაა. ეს არის საუკეთესო საწვავი პოლიტიკური დუღილისთვის, იმიტომ რომ ცინიზმი და უტიფრობა პირდაპირ იწვევს ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების დუღილს.

***– რამდენად სწორად მოიქცა ნაციონალური მოძრაობა ინაუგურაციის დღეს? მათი ქმედება რამდენად ჯდებოდა სამართლებრივ ჩარჩოებში?***



– იქ იმყოფებოდა ოპოზიციის ერთი ნაწილი, კონკრეტულად ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ჩემთვის არის მიუღებელი. როდესაც ისინი იყვნენ ხელისუფლებაში, ზუსტად ისე ექცეოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს, როგორც დღეს მათ ექცევიან.

***– ამით რის თქმა გსურთ?***

– ეს ხელისუფლებისთვის არ არის გამართლება, მაგრამ ნაციონალური მოძრაობისთვის, მე მგონი, არის გარკვეული სამართლიანობა. არ მინდა, დღეს დაკავებულ ადამიანზე გამოვიდეს ჭკუის სწავლება, მაგრამ კარგი იყო, ახლა დღეს რასაც მოთქვამენ და გოდებენ რუსთავი 2-ის ეთერში...

***– უკან უბრუნდებათ?***

– კი, რა თქმა უნდა. მათი მხრიდანაც უტიფრობაა, ამ ყველაფერზე ისე მოთქვამენ, რომ გეგონება, ეს ხდება პირველად საქართველოს ისტორიაში. ეს ყველაფერი მათი გამოგონილია. მათ შექმნეს ეს სისტემა, ეს ცინიზმი, ეს უტიფრობა, უკანონო დაკავებები.

ის მუხლი, რომლითაც კირკიტაძე დააკავეს – 353-ე, პირველად ოპონენტების წინააღმდეგ სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ გამოიყენა. სწორედ მან მისცა გამოყენებაში ფართო პრაქტიკა ამ მუხლს. ჩვენი მომხრეები სწორედ ამ მუხლით ჰყავდათ ჩაყრილი ციხეებში, დღეს კი მოუბრუნდათ უკან.

ის, რომ დღეს ხელისუფლება უვარგისია, არანაირად არ გულისხმობს იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა არის ვარგისი. ნაციონალური მოძრაობაც არის იმ მანკიერი პოლიტიკური სისტემის ნაწილი და ერთ-ერთი ფუნდამენტი, რომელმაც ქვეყანა შეიყვანა ამ ღრმა პოლიტიკურ კრიზისში.

***– ნაციონალები აცხადებენ, რომ მათ დანარჩენ ლიდერებსაც დაიჭერენ. წავა ამაზე ხელისუფლება?***

– დღეს შეზღუდულია ხელისუფლების არა მარტო ინტელექტი, არამედ მისი ლეგიტიმაციაც. კირკიტაძე დაიჭირეს იმიტომ, რომ პირდაპირ ვიდეოკადრებში ჩანს, პოლიციის ავტობუსს პირდაპირ წიხლით როგორ ანგრევს. აქედან გამომდინარე, ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ დაუსვამს ხელისუფლებას კითხვას, რატომ დაიჭირეთ კირკიტაძეო.

რაც შეეხება დანარჩენებს, გამოვრიცხავ, რომ სხვები დაიჭირონ. თუ ვინმე ასე კადრში ჩანს და კანონს არღვევს, შეიძლება, თორემ დანარჩენებს არ დაიჭერენ. ხელისუფლებამ რომ ვინც უნდა, ის ჩაყაროს ციხეში, ამის რესურსი მას არ აქვს. ის კი არა, კირკიტაძის პატიმრობასაც მოჰყვება სირთულეები.

***– მალე გამოუშვებენ?***

– მე ვფიქრობ, მას დიდხანს არ გააჩერებენ ციხეში. ხელისუფლება ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ კანონი კანონია და მე კანონს დავიცავ და უნდა, რომ მუშტი აჩვენოს. სინამდვილეში ამასაც აქვს უკუჩვენება – ხელისუფლება მართლმსაჯულებას კი არ ახორციელებს კირკიტაძის დაპატიმრებით, არამედ კუნთებს ათამაშებს, აი, რა მაგარი ვარო.

***– უკუჩვენებაში რას გულისხმობთ, რა მოჰყვება ამას?***

– სინამდვილეში ყველამ კარგად ვიცით, რომ კირკიტაძეს მალე გაათავისუფლებენ. ამიტომაც საუბარი იმაზე, რომ მართლმსაჯულების წინაშე ყველა თანასწორია, რანაირად არის ყველა თანასწორი, როდესაც შენ არ იქცევი სწორად და სამართლებრივად.

ნონსენსი რა არის, იცით? ადამიანები, რომლებსაც მიესაჯათ საბოლოო ჯამში არასაპატიმრო სასჯელი, მაგალითად, ლორთქიფანიძის პიჯაკზე, დაპატიმრებული იყვნენ წინასწარი პატიმრობის ძალით. ეს უკვე არის საშინელი ნონსენსი, ანუ სასჯელად არ მიუსჯიათ პატიმრობა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდეს პატიმრობა.

ეს არის არასწორი ტაქტიკის ნაწილი, თორემ კირკიტაძის დაპატიმრება არავითარი ტრაგედია არ არის ქართველი ხალხისთვის და არც ხელისუფლებისთვის არის დიდი დიდგორი და პოლიტიკური გარღვევა. უბრალოდ, ჩვენ დღეს მივექანებით ახალი ესკალაციისკენ.

***– გვესმის შეფასებები, რომ გაზაფხულზე იქნება პიკი.***

– პიკი როდის იქნება, ამის გათვლა რთულია ხოლმე. როდესაც ხელისუფლებებს ჰგონიათ, რომ სიტუაცია ჩააცხრეს, ძალიან მარტივი რაღაცის გამო მოხდება ხოლმე პიკი. როდესაც არსებობს საზოგადოებაში უკმაყოფილება, ხელისუფლება უნდა ცდილობდეს ამ უკმაყოფილების განეიტრალებას, თორემ, ის უკმაყოფილება სად ამოხეთქავს და რა ფორმით, ამის კონტროლი შეუძლებელია.

ისევე შეუძლებელია ამის კონტროლი, როგორც ახლა ვულკანი და მიწისძვრა რომ გათვალოს ვინმემ, სად მოხდება. ამიტომაც, როდესაც ჩანს, რომ ხელისუფლების ლეგიტიმაცია არის ასეთი დაბალი, როდესაც ამდენი უკმაყოფილო, ამდენი გამწარებული ადამიანია, როდესაც 800 ათასმა კაცმა ნაცმოძრაობას მისცა ხმა, ეს ხომ ნიშნავს, რომ 2 მილიონი კაცი ხელისუფლებას ვერ იტანს. ვინც ხმა მისცა ნაციონალურ მოძრაობას, ის უბრალოდ უკმაყოფილო კი არ არის ხელისუფლების, იმას ისე ეზიზღება ხელისუფლება, რომ იმასაც კი დათანხმდა, რომ ნაციონალებისთვის მიეცა ხმა. ხომ გესმით, ეს რას ნიშნავს?!

***– რას?***

– ეს არის ზიზღის უკიდურესი ზღვარი. 800 ათასმა ადამიანმა გამოხატა ბიოლოგიური ზიზღი, თორემ უკმაყოფილება არის ბევრად უფრო მეტი საზოგადოებაში. მე, რომელიც ასევე პრინციპულად ვერ ვიტან ამ ხელისუფლებას, ნაციონალებს არ მივეცი ხმა. ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს, დაარეგულიროს და პოლიტიკური მეთოდებით იზრუნოს ამ საკითხის მოგვარებაზე, თორემ კირკიტაძისა და სხვების დაპატიმრება რომ შველოდეს სახალხო უკმაყოფილების განეიტრალებას, მაშინ ბევრს დააპატიმრებდნენ.

***– ბატონო კახა, უნდა შეეშვათ თუ არა ინაუგურაციის დღეს ოპოზიცია თელავში?***

– წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით რომ ვიმსჯელოთ, თელავში, რა თქმა უნდა, უნდა შეეშვათ. ამაში ორი აზრი არ არის. შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება არის აბსოლუტური უფლება, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ უსაფრთხოების მოტივებიდან გამომდინარე, ანუ დაწესებული შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი შეზღუდვები, მაგალითად, ინაუგურაციის ადგილიდან დაშორებული ყოფილიყვნენ ერთი კილომეტრით ან ნახევრით, ანუ ისეთი შეზღუდვები, რომ მათ ფიზიკურად ინაუგურაცია ვერ ჩაეშალათ.

თუმცა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა იმ ტიპის შეზღუდვა, რომ ინაუგურაციაზე მოსულმა სტუმრებმა არც კი დაინახონ ეს ხალხი. მიიღეს უკუშედეგი. სიენენს თუ უყურეთ, 20 წამი დაუთმეს ინაუგურაციას, დანარჩენი – ნაციონალების აქციას. მიიღეს უკურეაქცია.

სალომე ზურაბიშვილს რომ აქვს კიდევ უფრო დაბალი ლეგიტიმაცია, ამას ხაზი გაუსვა თელავში ჩატარებულმა ინაუგურაციამ. შევარდნაძეც და სააკაშვილიც კი, რომლებიც გაყალბებული არჩევნების შედეგად გახდნენ პრეზიდენტები, რუსთაველიდან ისინიც კი არ წასულან.

# კახა კოჟორიძე: „პასუხისმგებლობის მხოლოდ კირკიტაძისთვის დაკისრება შერჩევითი სამართლის ნიშნებს აჩენს“

## „16 დეკემბერს რიგ შემთხვევებში დანაშაულის ნიშნები იყო და ასევე – კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის ნიშნებიც“

იაგო ნაცვლიშვილი

**16 დეკემბერს თელავში, საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის პარალელურად, გაერთიანებული ოპოზიციის აქცია იყო დაგეგმილი, თუმცა ოპოზიციას თელავამდე ჩასვლის საშუალება არ მიეცა. მათ სამართალდამცავებმა ბარიერები შეუქმნეს და სათადარიგო გზით ჩასვლა შესთავაზეს, რასაც ოპოზიცია არ დათანხმდა. 17 დეკემბერს კი ოპოზიციონერი დავით კირკიტაძე დააკავეს. ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე საუბრობს, ოპოზიცია კი – კონსტიტუციური უფლების – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე.**



ამ თემაზე „ახალი თაობა“ იურისტს, მეოთხე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ყოფილ მრჩეველს მართლმსაჯულების საკითხებში კახა კოჟორიძეს ესაუბრა.

***– 16 დეკემბრის ვითარების დროს ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე საუბრობს, ხოლო ოპოზიცია – კონსტიტუციური უფლების – გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე. თქვენ როგორ აფასებთ ამ ვითარებას?***

– ეს კომპლექსური საკითხია და ზუსტი სამართლებრივი დიაგნოზის დასმა გამიჭირდება, ვინაიდან ეს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა.

რიგ შემთხვევებში დანაშაულის ნიშნები იყო, როდესაც საუბარი იყო ძალადობრივ ქმედებებზე.

ასევე იყო კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის ნიშნები. ჩემთვის გაუგებარი დარჩა პოლიციის არგუმენტაცია, რატომ მოხდა გამოხატვისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. როდესაც სახელმწიფო ორგანო მოქალაქეს უზღუდავს რაიმე კონსტიტუციურ უფლებას, ეს ყოველთვის უნდა იყოს დასაბუთებული. ეს არის კონსტიტუციური ვალდებულება.

ჩვენ მოვისმინეთ პოლიციის ზოგადი განმარტება, რომ უსაფრთხოებისთვის არის საჭირო, რომ ამ გზაზე არ წასულიყვნენ და წასულიყვნენ სხვა გზაზე, მაგრამ ეს არის ძალიან ზოგადი განცხადება და ამას იურიდიულად დასაბუთება არ ჰქვია. კონკრეტულად უნდა იყოს ახსნილი, მაინცდამაინც იმ გზაზე წასვლა რა პრობლემას უქმნის უსაფრთხოებას, რატომ არის სხვა გზაზე წასვლა საჭირო. რატომ არ შეეძლო პოლიციას, რომ განცხადება გაეკეთებინა წინა დღეებში და მარშრუტის შესახებ ოპოზიციისთვის ინფორმაცია წინა დღეებში მიეწოდებინა, მით უმეტეს, რომ ცნობილი იყო, რომ ოპოზიცია აპირებდა იქ წასვლასა და აქციის გამართვას. პოლიციის ვალდებულებაა, უზრუნველყოს კონსტიტუციური უფლებების სრულყოფილად რეალიზების საშუალება, მათ შორის იმ ადამიანებისთვისაც, რომელთა მოქმედებებიც შესაძლოა პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის მიუღებელი იყოს.

აქედან გამომდინარე, ჩემთვის გაუგებარი დარჩა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის დასაბუთება. შეიძლება, არგუმენტი მათ ჰქონდეთ, მაგრამ ეს საჯაროდ დასაბუთებულად არ თქმულა.

***– დავით კირკიტაძის დაკავებას როგორ შეაფასებთ? ხომ არ დაედება ამას პოლიტიკური სარჩული?***

– ჩვენ დავინახეთ სხვადასხვა სამართალდარღვევა და შეიძლება იყოს იქ დანაშაულის ნიშნები. მე არ შემისწავლია ეს დარღვევები და ვერ ვიტყვი, კირკიტაძის ქმედებაში იყო თუ არა დანაშაულის ნიშნები. ზოგადად კადრები ყველამ ვნახეთ, მაგრამ ამას სჭირდება პროფესიული შეფასება, ამ მასალების ნახვა და გაანალიზება. შესაძლებელია, იყო კიდევაც დანაშაულის ნიშნები.

გავრცელებულ კადრებში ეს ადამიანი შეხლა-შემოხლაში მონაწილეობდა და იყო კიდევაც დანაშაულის ნიშნები. ამას სჭირდება პროფესიული შეფასება. რაც ინაუგურაციის დროს ხდებოდა, ყველაფრისთვის დეტალურად თვალ-ყური არ მიდევნებია.

მაგრამ, აქ მინდა, მნიშვნელოვან გარემოებას გავუსვა ხაზი – კანონი და სამართალი ყველასთვის ერთნაირად უნდა ამოქმედდეს. თუ სახელმწიფო ერთ კონკრეტულ პირს მოსთხოვს კანონის განუხრელად დაცვას და სხვას არ მოსთხოვს, ეს იქნება შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნები.

ეს ბევრად უფრო დამაზიანებელია სახელმწიფოსთვის, ვიდრე კონკრეტული პირის დაკავება ან არდაკავება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს წესრიგის დაცვა ადამიანების მიერ და, თუ რომელიმე ადამიანი კანონს არღვევს, მაშინ, მიუხედავად იმისა, ვინ არის დამრღვევი, რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი ან მოწინააღმდეგეა, მას უნდა დააკისროს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება.

თუ შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ კანონით დაკისრებული ვალდებულება შეიძლება დაეკისროს ერთ კონკრეტულ ადამიანს და არ დაეკისროს სხვას და ეს განსხვავება მოხდეს პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, მაშინ ეს იქნება ძალიან ცუდი, იმიტომ რომ მითითება მოხდება შერჩევით მართლმსაჯულებაზე, რაც ყველა ქვეყნისთვის დამაზიანებელია.

როცა ასეთ საკითხებზე ვმსჯელობთ, გამოსავალი ყოველთვის ძალიან მარტივია. ეს სიმარტივე კანონის პრინციპებშია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე პარტიული მოტივაციებით წაკითხვა და კეთდება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით შეხედვა კანონისთვის.

ოპოზიციას ასე აწყობს და ასე შეხედავს მას, ხოლო ხელისუფლებას ისე აწყობს და ისე შეხედავს. ამასობაში ზიანდება მართლწესრიგი და ის რეგულაციები, რომლებიც არსებობს და უნდა არსებობდეს სახელმწიფოში, ანუ სახელმწიფო ზიანდება.

***– შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნებს ხედავთ თუ რაზე მიანიშნებთ?***

– რაც მოხდა ინაუგურაციის დღეს, ეს იყო მრავალი ქმედება, რომელიც შეიცავდა სამართალდარღვევისა და, შესაძლოა, დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ ამ მრავალი შემთხვევიდან თუ ერთ ადამიანთან მიმართებით მოხდება პასუხისმგებლობის გამოკვეთა, მაშინ როდესაც, სავარაუდოდ, დამრღვევები სხვა მხარესაც იყვნენ, ეს აჩენს შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნებს.

სახელმწიფომ და შსს-მ უნდა განმარტონ, ამ მრავალი დარღვევიდან მაინცდამაინც ეს რატომ იქნა შერჩეული, სხვა რატომ არის ამასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი და ა.შ. ეს განმარტებები ვერ მოვისმინე.

პირდაპირ კი არ ვამბობ, რომ ეს შერჩევითი მართლმსაჯულებაა, მაგრამ, თუ შესაბამისი დასაბუთება არ იქნება, მაშინ ასეთი შეფასებები გაჩნდება და ეს დააზიანებს შსს-საც, სახელმწიფოსაც და თითოეულ ჩვენგანსაც.

მე ამის შესაბამისი დასაბუთება ვერ დავინახე. თუმცა, შსს-მ აღნიშნა, რომ შესაბამისი გამოძიება მიმდინარეობს, ამ შედეგების შესახებ ჩვენ მივიღებთ დამატებით ინფორმაციას და გვექნება შეფასების შესაძლებლობა.

ამ ეტაპზე კითხვები, რომლებიც მე დავსვი, არსებობს.

***– ახსენეთ გამოძიების მიმდინარეობა, ხშირად გვსმენია ამის შესახებ, თუმცა ბევრ შემთხვევაში გამოძიებას ბოლო არ უჩანს.***

– კი ბატონო, ხშირ შემთხვევაში ესეც არის ერთ-ერთი პრობლემა.

***– ანუ თქვენ ითხოვთ, რომ ყველა საკითხი დეტალურად იყოს შესწავლილი, ყველა მხარის, მათ შორის ისიც, რატომ შეუქმნეს ოპოზიციას ბარიერები?***

– რა თქმა უნდა. დაძაბულობა დაიწყო სწორედ იმის გამო, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს შეექმნათ ბარიერები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ ბარიერების შესახებ სათანადო არგუმენტაცია ვერ მოვისმინე. კი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ა. აშ. არის ის საფუძვლები, რა შემთხვევაშიც შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება ზოგადად. ეს შეიძლება, მაგრამ ამას კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული დასაბუთება სჭირდება.

თუ რამე ისეთი ინფორმაციაა, რაც ჩვენ არ ვიცით და შსს-ს აქვს მხოლოდ, შესაძლებელია, თეორიულად ასეთი რამეც წარმოვიდგინოთ, თუმცა ამას სჭირდება საზოგადოებისთვის მიწოდება.

შსს თავად უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ობიექტურ შეფასებას, არ დარჩეთ განცდა, რომ შსს ადამიანებს, იქნება ეს ოპოზიცია თუ სხვა პირი, დაუსაბუთებლად უზღუდავდა კონსტიტუციური უფლებების რეალიზების საშუალებას.

ამ ეტაპზე მე ეს კითხვები მაქვს და ვნახოთ, მოვისმენთ თუ არა ამ მათზე დასაბუთებულ პასუხებს.

# ცხინვალი ატოციდან ანტისაოკუპაციო ჯგუფის გასვლას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ქარელის რაიონის სოფელ ატოცთან ვითარება ისევ რთულია. ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრები ადგილზე რჩებიან, რის გამოც რუს ოკუპანტებს შეჩერებული აქვთ ბორდერიზაციის პროცესი.

ამის გამო რუსები და ცხინვალის ხელისუფლება ძალიან შეშფოთებული არიან. იმდენად შეშფოთებული, რომ მათ თავი „დაიმცირეს“ და საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით მიმართეს.



კერძოდ, ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ატოციდან ანტისაოკუპაციო ჯგუფის გასვლას მოითხოვს. ამის მიზეზად ისინი უსაფრთხოების ზომებს ასახელებენ.

ნიუპოსტის კორესპონდენტის ცნობით, ამის შესახებ ოსური დელეგაციის წევრებმა ერგნეთის შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობას განუცხადეს. როგორც სუსი-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი ანთაძე აცხადებს, მოთხოვნის საპასუხოდ მათ დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლებს უთხრეს, რომ ანტისაოკუპაციო ჯგუფს ატოცში ყოფნის კონსტიტუციური უფლება აქვს.

– ჩვენ მათ განვუმარტეთ, რომ სამოქალაქო მოძრაობა იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და სიტყვის, გამოხატვისა და გადაადგილების თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ანუ დე ფაქტო ხელისუფლების მოთხოვნა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, – აცხადებს ირაკლი ანთაძე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამთვიანი პაუზის შემდეგ ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გუშინ, 18 დეკემბერს, პირველი შეხვედრა გაიმართა.

ამ შეხვედრაზე სულ 11 საკითხი განიხილეს. მთავარი საუბრის თემა კვლავ არჩილ ტატუნაშვილისა და დავით ბაშარულის გარდაცვალების საკითხი იყო. საუბარი ასევე შეეხო უკანონო ბორდერიზაციასა და საქართველოს მოქალაქეთა გატაცების ფაქტებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ოკუპანტების საყმოს მოთხოვნას არ გაითვალისწინებს.

რამდენიმე კვირის წინ ქართველმა სამართალდამცავებმა ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებს ოკუპაციის ხაზთან გაშლილი კარვის დაშლა მოსთხოვეს. ამას საზოგადოების მხრიდან პროტესტი მოჰყვა.

ხელისუფლება გართულებაზე არ წავიდა. ჯგუფის წევრები ატოცში დარჩნენ და დღემდე იქ არიან. რადგან ოსებმა მათი გაყვანა მოითხოვეს, გამორიცხული არ არის, რაიმე პროვოკაცია მოაწყონ. ანტისაოკუპაციო მოძრაობასა და პოლიციას ახლა ფრთხილად ყოფნა მართებთ.

# გია ვოლსკი: „შს მინისტრი მზად არის, პლენარულ სხდომაზე მოვიდეს და დეპუტატების ყველა კითხვას პასუხი გასცეს“



შს მინისტრი მზად არის, პლენარულ სხდომაზე მოვიდეს და დეპუტატების ყველა კითხვას პასუხი გასცეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ განუცხადა.

ამასთან, ვოლსკის შეფასებით, „ევროპული საქართველოს“ მოთხოვნის მიზანი, მინისტრი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მივიდეს, დესტრუქცია და პოლიტიკური ცირკის მოწყობაა.

– „ევროპული საქართველო“ პროცედურას იშველიებს. რეალურად კი არ უნდათ მის დანაყოფს „ნაციონალურ მოძრაობას“ დესტრუქციაში ჩამორჩნენ. დარწმუნებული ვარ, ყველა შეხვედრა, ყველა საკითხი, რომელიც პარლამენტში მიმდინარე პროცესებს ეხება, მომავალშიც ისე იქნება ინტერპრეტირებული და იმ კუთხით წაყვანილი, რომ როგორმე დაპირისპირება, შეუთანხმებლობა, ყვირილი და ხმაური მოხდეს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობა დაარწმუნონ, რომ ოპოზიციის მიმართ რაღაც უსამართლობა ხდება. შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოვა, ყველა კითხვას გასცემს პასუხს და თავადაც წარმოადგენს ინფორმაციას. ოპოზიციის მიზანი ცირკის მოწყობაა, რაც უნისონშია გრიგოლ ვაშაძის განცხადებასთან, რომ არც ერთ დონეზე, არსად არანაირ მოლაპარაკებას არ აპირებენ. აქვთ ულტიმატუმები და მათი მიზანია ხელისუფლებას ულტიმატუმების შესრულება აიძულონ, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

გიორგი გახარიას 21 დეკემბერს რიგგარეშე პლენარული სხდომის ფორმატში ელიან. ამასთან, უმცირესობა პარლამენტში შს მინისტრის მისვლასა და მოსმენას რეგლამენტის იმ მუხლის საფუძველზე ითხოვს, რომლის მიხედვით, მინისტრს ფრაქციის მოთხოვნით კომიტეტში იბარებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ ხელმძღვანელმა ოთარ კახიძემ განუცხადა, ახალი რეგლამენტის 40-ე მუხლის საფუძველზე ფრაქციამ გიორგი გახარია იურიდიულ საკითხთა კომიტეტში დაიბარა და ის ვალდებულია, აღნიშნულ კომიტეტში გამოცხადდეს.

# კონსტანტინე გამსახურდია: „არის რამდენიმე პირი, რომლებსაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობისთვის შეიძლება ბრალი წაეყენოთ“

გულიკო ბალაძე

**წაუყენებს თუ არა საქართველოს მთავარი პროკურატურა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე ვინმეს ბრალს თუ საქმეს დახურავს, რაც შეიძლება გახდეს საზოგადოების იმ ნაწილის მღელვარების საფუძველი, რომელიც 25 წელია, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებას მოითხოვს?**





მე-6 დღეა, საქართველოს მთავარი პროკურატურის მისაღებში საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილები კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები შიმშილობენ.

ამა წლის 31 დეკემბერს 25 წელი შესრულდება, რაც 1993 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდია სამეგრელოს სოფელ ძველ ხიბულაში მოკლეს. დღეს პროკურატურაში საგამოძიებო მასალების 16 ტომი დევს.

როგორც კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს, საქმეში ფიგურირებენ ადამიანები, რომლებსაც თავისუფლად შეიძლება, წარედგინოთ ბრალი.

„ახალი თაობის“ კითხვაზე, ვინ არიან ეს ადამიანები, კონსტანტინე გამსახურდია გვპასუხობს, რომ მათ გვარებს ვერ დაასახელებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, იმას კი ამბობს, რომ მან, საპარლამენტო კომისიის მასალებთან ერთად, 48 კაცის აუცილებელ დასაკითხ პირთა სია გადასცა.

კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს, რომ ამ ხნის განმავლობაში პროკურატურას, ფაქტობრივად, ბრალდებული არ ჰყავს და საქმე დაიხურება.




– სინამდვილეში, საქმეში არის უამრავი მამხილებელი მასალა, გამოკვეთილია ამ საქმის ორგანიზატორები და მკვლელი, საბჭოთა კაგებეს სტაჟიანი თანამშრომელი, მაგრამ პროკურატურა საოცარი პასიურობითა და უნიათობით ცდილობს ხსენებული ვადის გაწელვას, მეორე მხრივ, გააფთრებული გვეწინააღმდეგება ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრებს, ნაცვლად აუცილებელი საგამოძიებო ქმედებების ჩატარებისა, – აცხადებს კონსტანტინე გამსახურდია.

ცოტნე გამსახურდია ამბობს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არ არის მხოლოდ მათი ოჯახური ტრაგედია.

– ეს არის ქვეყნის ტრაგედია, გამოუსწორებელი, მოუშუშებელი ტკივილი, უსამართლობა და უკანონობა, რასაც ბევრი ტრაგედია მოჰყვა. ჩვენ ხალისისა და სიხარული საფუძველი არ გვაქვს. პერიოდულად ვაწყდებით იმ ეპიზოდებს, როგორ ანგრევს და ანადგურებს სისტემა ადამიანებს. პირველ რიგში, სწორედ ამას ვაპროტესტებთ მე-6 დღეა ჩვენი პერმანენტული აქციითა და შიმშილობით ამ შავბნელ შენობასთან და მოვითხოვთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას.

ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიება, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს, საკვანძო მოწმეები არ იკითხებიან, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი უფროსი ძმის, კონსტანტინეს მეშვეობით საპარლამენტო კომისიამ დადო დიდი მასალა, საკვანძო ინფორმაცია, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტები, საქმე მიმდინარეობდა მდორედ და უნიათოდ. ფაქტობრივად, ვერ იტყვი, მოვალეობის მიზნით. მათ თავიანთი მოვალეობა და ვალდებულება მართლა რომ შეასრულონ, ჩვენ ამ დღეში არ ვიქნებოდით, – განაცხადა ცოტნე გამსახურდიამ.

კონსტანტინე გამსახურდია ფიქრობს, რომ მოჩვენებითი უნიათობის უკან პოლიტიკური ნების არარსებობა დგას.

– ამ საქმის გამოძიებასთან მე ფუნდამენტური შეხება მაქვს 2010 წლიდან, როდესაც ჩავიბარე დროებითი საპარლამენტო კომისია ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შესწავლის მიზნით.

2011 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტის სესიაზე წარვადგინე კომისიის ძირითადი დოკუმენტი, დასკვნა, რომელიც არის 370 გვერდი და 48 კაცის სია, რომელიც აუცილებლად გამოსაკითხია, ამ სიიდან მხოლოდ ერთი ადამიანი ერთი თვის წინ დაიკითხა. 7 წელი პროკურატურა რას აკეთებდა? რამდენი ხანი შეიძლება იჯდე და უყურო ხელისუფლების ცვლილებას?

შეუძლებელია ამტკიცო, რომ პრეზიდენტმა დახრილად ისროლა პისტოლეტი სტეჩკინი ისე, რომ არც მიიბჯინა.

შეუძლებელია, შემდეგ იძახო, რომ ეს სტეჩკინი მას ხელში დარჩა. შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, რომ შეიძლება თვითმკვლელობა განხორციელდეს და, საერთოდ, გადაქცეულიც არ იყოს ადამიანი. შეუძლებელია, ერთი ჩვენებით, მას ეცვას კოსტიუმი, მეორე ჩვენებით – სპორტული ტანსაცმელი. ძალიან ბევრი რამ არის კიდევ შეუძლებელი.

შეუძლებელია, ადამიანი იყოს უშიშროების, საბჭოთა კგბ-ს ბუდეში გაზრდილი, ჰქონდეს უამრავი მედალი, ნამსახურევი იყოს რამდენიმე ადგილას, მათ შორის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, შემდეგ ხელმძღვანელობდეს უშიშროების ტრენინგის ცენტრს და ის ამბობდეს, რომ ზუგდიდთან საერთოდ შეხება არ ჰქონია. წარმოუდგენელია, შეხება არ ჰქონოდა მაშინ, როდესაც მას რამდენიმე ადამიანი ადებს ხელს. ასეთი შეუძლებლობებით არის სავსე ეს საქმე მთლიანად.

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ხალხის კონსოლიდაციასა და ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიების მოთხოვნას.

***– ბატონო კონსტანტინე, ამ საქმის გამოძიების კუთხით ახლა რა კეთდება?***

– გამოძიება გრძელდება, მაგრამ ხელშესახებ შედეგს ჩვენ ვერ ვხედავთ. დიალოგს წინ არაფერი უდგას, ოღონდ ეს არ უნდა იყოს დიალოგი დიალოგისთვის. ცარიელი ხელებით თუ დააპირებენ ისინი ჩვენთან შეხვედრას, რა თქმა უნდა, ჩავთვლი, რომ ეს დროის ტყუილი ფლანგვაა.

***– საქმე გამოძიების რა სტადიაზეა?***

– საქმე არის იმ სტადიაში, რომ 12 დღეში ის უნდა დაიხუროს, იმიტომ რომ ორგანული კანონი გულისხმობს ამას. ორგანულ კანონში ასეა ფორმულირებული და ძალიან ძნელია ორგანული კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია.

***– რა შემთხვევაში შეიძლება, არ დაიხუროს?***

– ერთადერთ შემთხვევაში გადავადდება საქმის დახურვა და ხანდაზმულობის ვადა მოიხსნება, თუ ვინმეს ბრალი წარედგინება. საგამოძიებო მასალების 16 ტომს თუ გადავხედავთ, იქ არიან ისეთი პირები, რომლებსაც დღეისათვის შეიძლება, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე ბრალი წარედგინოთ.

საქმეში ფიგურირებენ ადამიანები, რომლებსაც თავისუფლად შეიძლება, წარედგინოთ ბრალი. პროკურატურამ ბრალი უნდა წარუდგინოს, აბა, რას აკეთებენ.

***– ხომ არ გვეტყვით, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებსაც შეიძლება, დღეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე ბრალი წარედგინოთ?***

– ვერ დაგისახელებთ. მათი დასახელება არ შეიძლება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ ასეთი ადამიანები არიან და მათ უნდა წარედგინოთ ბრალი. ასეთ შემთხვევაში საქმე არ დაიხურება.

***– რა უშლის ხელს იმ ადამიანებისთვის ბრალის წარდგენას?***

– ვფიქრობ, ამ უნიათობისა და ნაცარქექიობის უკან დგას პოლიტიკური ნების არარსებობა. როდესაც არსებობდა პოლიტიკური ნება, ისინი ძალიან ენერგიულად მოქმედებდნენ.

***– მას შემდეგ, რაც თქვენ საპარლამენტო კომისიის მასალები წარუდგინეთ პროკურატურას, საქმე გადაკვალიფიცირდა და გამოძიება დაიწყო მკვლელობის მუხლით (მოგეხსენებათ, ბალუაშვილი ამტკიცებდა, თავი მოიკლაო, საპარლამენტო კომისიის მასალების წარდგენის შემდეგ საქმე გადაკვალიფიცირდა და მკვლელობის მუხლით დაიწყო გამოძიება). ამ საქმის გამოძიების ათვლა ახალი თარიღით არ დაიწყო?***

– არა. ათვლა იწყება მკვლელობის დღიდან, 1993 წლის 31 დეკემბრიდან.

## საქართველოში ყველაზე მაღალი ხელფასი საფინანსო და სადაზღვევო სფეროში დასაქმებულებს აქვთ

2018 წლის III კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 56.4 ლარით გაიზარდა და 1125.5 ლარი შეადგინა.

საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხელფასების ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა სექტორში.

საქმიანობების სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა – 2.354.3 ლარი (წლიური ზრდა 26.5 პროცენტი);

ინფორმაცია და კომუნიკაცია – 1785.0 ლარი (წლიური ზრდა 18.0 პროცენტი).

2018 წლის III კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 76.8 ლარით და 1019.5 ლარს შეადგენს. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ასევე სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის სფეროებში დასაქმებულებს.

# ლავროვი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს თბილისის აგრესიისგან იცავს

## შავ ზღვაზე სიტუაცია უფრო იძაბება

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველო-ნატოს თანამშრომლობის გაღრმავებაზე ბოლო დროს წუხილი ბევრჯერ გამოთქვა ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმმა. მისი წარმომადგენლების გაცხარების საბაბი გახდა ვაზიანში ახალი სამხედრო აეროდრომის მშენებლობის გეგმა. აეროდრომი ნატოს ეგიდით იქმნება.**

საქართველოს ნატოსთან დაახლოებას ამჯერად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც შეეხო. გაუგებარია, რის საფუძველზე, მაგრამ ლავროვი დარწმუნებულია, რომ ქართული ჯარი ნატოს დახმარებით აპირებს შესვლას ოკუპირებულ რეგიონებში. იგი აღნიშნავს, რომ რუსეთი არ დაუშვებს „საქართველოს აგრესიას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ“.

– დარწმუნებული ვარ, ისინი თავისი ბატალიონებით ვერსად შეაღწევენ. მათ ესმით, რომ ჩვენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოკავშირეები ვართ. აგრესორებს არ მივცემთ ჩვენს



მოკავშირეებზე თავდასხმის საშუალებას, – იმუქრება რუსეთის მთავარი დიპლომატი.

ლავროვის ეს სიტყვები ფაქტობრივად დაემთხვა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას. მასში რუსეთი მოხსენიებულია აგრესორად და საფრთხედ უკრაინისათვის.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ რუსეთმა უკრაინას წაართვა ყირიმი და სევასტოპოლი, ასევე აზოვის ზღვისა და შავი ზღვის ნაწილები. გაერო გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ რუსეთი მიტაცებულ ყირიმში ატარებს საჯარისო წვრთნებს და იქ აგროვებს იარაღს.

ამის გამო რეგიონში იქმნება დესტაბილიზაციის საფრთხე. რუსეთის მოქმედებები შავ ზღვაზე ემუქრება უკრაინის უსაფრთხოებას.

შავი ზღვა კარგა ხანია, ითვლება დაპირისპირების კერად რუსეთსა და დასავლეთს შორის. ამ რეგიონში სიტუაცია უფრო იძაბება.

რუსეთს სამხედრო ბაზა აქვს სომხეთში. თუმცა, იქ მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ კრემლს გარანტიები დასჭირდა. ამიტომ, ერევნისგან წერილობითი პირობის დადებას მოითხოვს. მზადდება დოკუმენტი, რომლითაც სომხეთი იღებს ვალდებულებას, არ დაუშვას „უცხო“ სამხედროების ყოფნა თავის ტერიტორიაზე. ყველა ქმედება ამ მიმართულებით უნდა გახდეს გამჭვირვალე რუსეთისათვის.

კრემლი ისევ აქტიურია სირიაში და აცხადებს, რომ სირიაში მშვიდობიანობას ხელს უშლის აშშ. თურქული მედიის ცნობით, რუსეთი გახსნის საჰაერო სივრცეს სირიაში იმისათვის, რომ ანკარამ ჩაატაროს ანტიტერორისტული ოპერაცია ევფრატის აღმოსავლეთით.

საზოგადოების ნაწილი აცხადებს, რომ ამ ტერიტორიას სირიაში აკონტროლებს არა რუსეთი, არამედ აშშ, რომელსაც სირიაში ახალი ისრაელის შექმნა უნდა.

რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო გავლენის შესუსტებად უცხოელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ უკრაინის ერთიანი დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბებას. მათი აზრით, ამან დიდი დარტყმა მიაყენა რუსების იდენტობას და იდეოლოგიას, რომლისთვისაც რუსული ეკლესიის აკვანი ამ ადგილებში დაირწა.

უკრაინაში მომხდარი ეს ცვლილება ასუსტებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და კრემლის გავლენას ბევრ ქვეყანაზე. განსაკუთრებით, სლავურ სახელმწიფოებზე.

ეს პუტინს უსპობს პანსლავისტური იდეების საფარქვეშ მოსკოვის ზემოქმედებას ევროპის მთელ რიგ ქვეყნებზე.

# ვასილ ახრახაძე: „სიტუაცია დღითიდღე უკონტროლო ხდება და იშლება ზღვარი სადაზღვევო და საბანკო ინდუსტრიებს შორის“



სადაზღვევო კომპანიები კომერციული ბანკების წინააღმდეგ გამოდიან და მათთვის სადაზღვევო სფეროში საქმიანობის შეზღუდვას ითხოვენ. სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლების თქმით, ბანკები მათი შვილობილი კომპანიებისათვის ხელოვნურად ქმნიან ხელსაყრელ გარემოს და კონკურენტებს უსამართლოდ ზღუდავენ. კერძოდ, მაშინ როდესაც მომხმარებლები აზღვევენ სესხს, ბანკები მათ სთავაზობენ მხოლოდ ერთ კომპანიას.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა ტიპის მოთხოვნები აქვთ სადაზღვევო კომპანიებს, რატომ და საიდან მივიღეთ ეს სირთულეები და რა იყო ამის მიზეზი? ამჯერად გთავაზობთ სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ პოზიციას.

სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ გენერალური დირექტორი ვასილ ახრახაძე განმარტავს, რომ სიტუაცია დღითიდღე უფრო უკონტროლო ხდება და იშლება ზღვარი სადაზღვევო ინდუსტრიასა და საბანკო ინდუსტრიას შორის. ბანკების კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიების რიცხვი კი დღითიდღე იზრდება.

– ეროვნული ბანკი გასცემს შესაბამის თანხმობებს, რის საფუძველზეც პრაქტიკულად ბაზარზე თავისუფალი მოთამაშეების ადგილი აღარ რჩება, – აღნიშნავს ახრახაძე.

მისი შეფასებით, ეს პრობლემა სექტორში საკმაოდ მწვავედ დგას. კერძოდ, დღეს 80-90% პროცენტი კონცენტრაცია დაზღვევის ბიზნესის და მოგება არის ბანკების კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიების.

– ჩვენ არ ვითხოვთ მთავრობისგან რაიმე პროტექციონისტურ პოლიტიკას ან მიკერძოებულ მიდგომას. ჩვენ ვითხოვთ, რომ ბაზარზე ყველა მოთამაშეს თანაბარი პირობა ჰქონდეს, ამისთვის კი ჯანსაღი კონკურენცია აუცილებელია. 2 წლის წინ, „კომერციული ბანკების შესახებ კანონში“ შევიდა ცვლილება, რომლის შედეგადაც არაპროფილური აქტივების ფლობა სხვადასხვა დარგებში შეიზღუდა, გამონაკლისი საფინანსო სექტორი დარჩა. ანუ, არ შეეხოს დაზღვევის სექტორს, ამან კი მიგვიყვანა ამ პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებამდე. ამიტომ, დღეს სოკოებივით მომრავლდნენ საბანკო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები.

პირველ რიგში ვითხოვთ, რომ მსგავსად სხვა სექტორებისა, ბანკისთვის შეიზღუდოს დაზღვევაში პირდაპირი და არაპირდაპირი ინვესტირება. ამავე დროს მოხდეს სადაზღვევო პორტფელების დივერსიფიცირება, მსგავსად იმისა, როგორც ეს ხდება დაზღვევაში, როდესაც კანონი გვავალდებულებს, რომ ჩვენი ფინანსური აქტივები მინიმუმ 3 ბანკში განვათავსოთ, – აღნიშნავს ახრახაძე.

„კომერსანტის“ კითხვაზე, თუ ტენდენცია ასე გაგრძელდა, მივიღებთ თუ არა ორ მსხვილ ბანკზე ჩამოკიდებულ სადაზღვევო სექტორს, ახრახაძე აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, ეს ფაქტი უკვე დამდგარია. მისი განმარტებით, ის დოუპოლიური მოდელი, როგორიც საბანკო სექტორშია, როდესაც ბაზარზე ორი მსხვილი ბანკია. ანალოგიური ხდება დაზღვევის სექტორშიც და ეს ძირითადად, ამ ორი ბანკის კომპანიებიდან გამომდინარეა.

როგორც ცნობილია, რეაგირებისთვის სადაზღვევო ინდუსტრიის 12 წარმომადგენელი მთავრობას მიმართავს. კომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ კონკურენციის შესახებ კანონი ბანკებზეც უნდა გავრცელდეს. ასევე ცნობილია, რომ ერთობლივ განცხადებას ხელი ოთხმა სადაზღვევო კომპანიამ არ მოაწერა. ესენია: „თიბისი დაზღვევა“, „ქართუ დაზღვევა“, „ჰუალინგ დაზღვევა“ და იმედი L.

სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება იზრდება. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკით, 2018 წლის სამ კვარტალში კომპანიებმა 34,66 მლნ ლარის წმინდა მოგებით დაასრულეს. ეს თითქმის 21,51 მლნ ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2017 წლის მესამე კვარატლის მონაცემებით, კომპანიების წმინდა მოგებამ 13,15 მლნ ლარი შეადგინა. 2018 წლის მე-3 კვარატლის ბოლოსთვის მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 417,19 მლნ ლარი, 71.47 მლნ ლარით მეტი, ვიდრე 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში.

ასევე მკვეთრი ზრდაა აქტივებშიც. სექტორის აქტივების მოცულობა 712.33 მლნ ლარია, ნაცვლად წინა საანგარიშო პერიოდში არსებული 597.10 მილიონისა.

ბაზარზე ამ დროისათვის 17 სადაზღვევო კომპანია ოპერირებს. 16 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

# ცხინვალში ენერგოკრიზისია

რამდენიმე დღის წინ მთელი ცხინვალი თითქმის 24 საათის განმავლობაში ელექტროენერგიის გარეშე იყო – ამის მიზეზი გახდა ამინდის გაუარესება. ენერგომომარაგება საბოლოო ჯამში აღდგა, თუმცა პრობლემა, რომელიც გააშიშვლა ამ ინციდენტმა, არ გამქრალა.

ცხინვალი ბოლო წლების მანძილზე განიცდის სერიოზულ ენერგოკრიზისს, განსაკუთრებით – ზამთარში.

– რაღაც პერიოდი ეჩვევი ნორმალურ ენერგომომარაგებას და თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ ამავე დროს, ქვეცნობიერად, ყოველთვის გაქვს შიში, რომ ეს ყველაფერი დღესვე შეიძლება დასრულდეს. ეს შიშები განსაკუთრებით გამძაფრდა 2017 წლის ზამთარში, როდესაც ცხინვალი რამდენიმე დღის მანძილზე უშუქოდ დარჩა. ამან ძალიან ცუდად იმოქმედა მოსახლეობაზე, დღემდე ყველას გვახსოვს ის საშინელი დღეები. ახლაც ხშირად ითიშება ელექტროენერგია, წარმოიდგინეთ, ზამთარში, როდესაც გათბობაც და წყალმომარაგებაც დამოკიდებულია ელექტროენერგიაზე, რჩები დენის, სითბოს და წყლის გარეშე. ეს ძალიან დიდი შოკი და სტრესია, – ამბობს ცხინვალის ერთ-ერთი მცხოვრები.




აქაურები თვლიან, რომ ამ სიტუაციიდან არის მხოლოდ ერთი გამოსავალი – სარეზერვო გადამცემი ხაზის მშენებლობა, რადგანაც სადღეისოდ მთელი რეგიონის ენერგომომარაგება დამოკიდებულია ერთადერთ ხაზზე, რომელიც აკავშირებს ცხინვალს ჩრდილოეთ ოსეთის ენერგოსისტემასთან.

შესაბამისად ერთი, თუნდაც მცირე ავარია, საკმარისია იმისთვის, რომ ოკუპირებული ტერიტორია დარჩეს ელექტროენერგიის გარეშე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხაზი გადის მთაში, სადაც ხშირია ცუდი ამინდი, ხოლო დაზიანების შეკეთებას ბუნებრივი პირობების გამო სჭირდება საკმაოდ დიდი დრო, გასაგებია, რომ ცხინვალის ენერგომომარაგება ვერ იქნება სტაბილური.

90-იან წლებში თვითაღიარებულმა რესპუბლიკამ სცადა საკუთარი ენერგომომარაგების სისტემის შექმნა, თუმცა, უშედეგოდ.

იმდროინდელი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის“ ლუდვიგ ჩიბიროვის თქმით, ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველომ შეწყვიტა ცხინვალის ენერგო და გაზმომარაგება.

– ზოგჯერ გვაწვდიდნენ გაზს და ელექტროენერგიას, ზოგჯერ არა. მაგალითად, 20 სექტემბერს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ელექტროენერგია და გაზი ყოველთვის ითიშებოდა და ჩვენ გვიწევდა საზეიმო დღის აღნიშვნა სიბნელეში. ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება საკუთარი ენერგომომარაგების სისტემის შექმნის თაობაზე. საუბარი იყო მინიმალურ მოცულობებზე, იმ რაოდენობაზე რომ ყოველთვის შესაძლებელი ყოფილიყო სტრატეგიული ობიექტების ენერგომომარაგება – საავადმყოფოების, პურის საცხობების, ტელევიზიის, და ა.შ., – ამბობს ჩიბიროვი.

იმ პერიოდში გადაწყდა 2 მცირე ჰესის აშენება ლიახვზე – თითო 1,5 მეგავატი სიმძლავრის. ამისთვის საჭირო იყო ჰიდროსადურებისთვის აუცილებელი აღჭურვილობის – პირველ რიგში ტურბინის და გენერატორის – შეძენა.

ამისთვის შესაბამისი დელეგაცია ეწვია სანკტ-პეტერბურგის ქარხანა „Новая сила“-ს, სადაც დაიდო ხელშეკრულება აპარატურის შეძენის თაობაზე. უსახსრობის გამო პირველ ეტაპზე რესპუბლიკის ხელისუფლებამ მიმართა მოსახლეობას.

– წარმოიდგინეთ, ფულს ვმათხოვრობდი იმისთვის, რომ დროულად აგვეშენებინა ელექტროსადგურები. გავხსენით სპეციალური ანგარიში ბანკში, მოსახლეობაც აგროვებდა, თუმცა, საკმარისი თანხა მაინც ვერ შევაგროვეთ. მოკლედ, ძლივს ვიყიდეთ აღჭურვილობის ნაწილი და დავიწყეთ მუშაობა. როდესაც ჩემი საპრეზიდენტო ვადა დასრულდა, სამუშაოების თითქმის 90% უკვე დასრულებული იყო, მაგრამ მოვიდა ზამთარი და სამუშაოები დროებით შეჩერდა. მერე, რამდენიმე თვეში სრულად შეწყდა, ხოლო ანგარიშზე დარჩენილი 2 მლნ. რუბლი დაიხარჯა გაურკვეველი დანიშნულებით. სად წავიდა უკვე შეძენილი ძვირადღირებული აღჭურვილობა – არ ვიცი, – ამბობს ჩიბიროვი.

2017 წლის დეკემბერში ავარიის გამო მთელი ცხინვალის რეგიონი რამდენიმე დღით ელექტროენერგიის გარეშე დარჩა, რის შემდეგაც საუბრები ელექტროსადგურების და სარეზერვო გადამცემი ხაზების მშენებლობის აუცილებლობის შესახებ განახლდა.

რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა მადლობა გადაუხადა მოსახლეობას „გამოვლენილი გამძლეობის და ვაჟკაცობის გამო“ და განაცხადა, რომ 2018 წელს დაიწყება სარეზერვო ხაზის მშენებლობა.

„რუსეთის ფედერაცია ასევე გამოგვიყოფს მძლავრ ენერგოგენერატორს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობას ელექტროენერგიით ავარიების შემთხვევაში“ – თქვა მაშინ ბიბილოვმა.

თუმცა, გავიდა უკვე ერთი წელი და გენერატორის თემა ყველას დაავიწყდა, ხოლო სარეზერვო ხაზის მშენებლობა, სახელმწიფო კომპანია „Энергоресурс _ Южная Осетия“-ის დირექტორის ალან გაბარაევის თქმით, 2019 წელს დაიწყება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისთვის, პროექტისთვის საჭირო დაფინანსება ჯერაც არაა გამოყოფილი.

# ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი: „ჩემი რჩევაა, მთავრობამ იმ შესაძლებლობების სრული ანალიზი გააკეთოს, რომელიც ჩვენ გარშემოა“



ჩემი რჩევაა, მთავრობამ იმ შესაძლებლობების სრული ანალიზი გააკეთოს, რომელიც ჩვენ გარშემოა, – ამ რჩევას კომერსანტის საშუალებით დღევანდელ ხელისუფლებას ბიზნესმენი, კომპანია „ნატახტარის“ კორპორატიული დირექტორი ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი აძლევს.

ხუნძაკიშვილის განმარტებით, უნდა მოხდეს ამ შესაძლებლობების ორი მიმართულებით გამოყენება – გუნდურობით და რესურსებით ათვისება.

– მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირებაც, რომ რესურსი მარტო ფული არ არის, რესურსი არის ყველაფერი, მათ შორის ადამიანური. რესურსია კავშირები, რეპუტაცია, სპეციალური კაპიტალი. ჩვენი ისტორიაც რესურსია, რომელსაც კარგად უნდა ვიყენებდეთ. ვგულისხმობ ტურიზმს, – აღნიშნავს ხუნძაკიშვილი.

როგორც ხუნძაკიშვილი განმარტავს, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გვაკლია, გუნდურობა და გუნდში ლიდერობაა.

– თითქოს ძალიან ბევრი კვალიფიციური ადამიანი გვყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გუნდათ ჩამოყალიბება პრობლემაა. ჩვენ თუ მივაღწიეთ იმას, რომ გვეყოლება კარგი ლიდერი გუნდურობის პირობებში, ძალიან კარგი იქნება, – აღნიშნავს ხუნძაკიშვილი.

# მთავრობა „ფოსტას“ ყიდის

საქართველოს ფოსტა

For Sale – საქართველოს მთავრობამ ფოსტის პრივატიზების გადაწყვეტილება მიიღო.

ეკონომიკის მინისტრ გიორგი ქობულიას თქმით, სახელმწიფო ფოსტის პრივატიზების გამოცხადებისთვის უკვე „პრაქტიკულად მზად არის“.

საქართველოს რკინიგზა სახელმწიფო კომპანიას წარმოადგენს. 1995 წელს დაფუძნებული კომპანია დღეს საქართველოში საფოსტო და საამანათო გზავნილების მიწოდებას ახდენს. 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, საქართველოს ფოსტა ზარალიანი საწარმოა.

2017 წელს კომპანიის ბრუნვა 22%-ით გაიზარდა და მან 86.7 მილიონ ლარს მიაღწია. თუმცა კომპანიას მარაგების შესყიდვა – 30 მილიონი ლარი, პერსონალის ხარჯი – 23.5 მილიონი ლარი, ცვეთა – 3.3 მილიონი ლარი, ხოლო სხვა ხარჯები კი, 30 მილიონი ლარი დაუჯდათ.

საოპერაციო საქმიანობაში ფოსტამ 1.5 მილიონი ლარის ზარალი მიიღო. კომპანიას აგრეთვე სხვა შემოსავალიც ჰქონდა, რაც კომპანიის ანგარიშებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვას უკავშირდებოდა. საერთო ჯამში, ფოსტის მთლიანი ზარალი 2017 წელს 330,000 ლარი იყო.

საქართველოს ფოსტამ საქმიანობა 2016 წელსაც ზარალით დაასრულა. მაშინ კომპანიის ფინანსური ზარალი 2.2 მილიონი ლარი იყო.

რაც შეეხება კომპანიის აქტივებს, ის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 72 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2 მილიონი ლარით მეტია.

იმის გამო, რომ საქართველოს ფოსტა საერთაშორისო საფოსტო მომსახურებას ეწევა, კომპანიას ვალდებულება აქვს წარმოშობილი სხვა ქვეყნების ფოსტების წინაშე. ამ ვალდებულებების მოცულობა 2017 წელს 10 მილიონი ლარი იყო. აქედან ყველაზე დიდი, 8-მილიონიანი ვალდებულება ფოსტას რუსეთის ფოსტის წინაშე აქვს, 267 ათასი ლარით მეორე ადგილზე ისრაელის ფოსტაა.

ფინანსური ანგარიშგებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ფოსტას უცხოეთში ორი შვილობილი კომპანია ჰყავს დაფუძნებული – საბერძნეთში Georgian Post (140485301000 Greece) I.K.E. კომპანიის დირექტორი გიორგი კოლუაშვილია.

2018 წლის ივლისში კი, საქართველოს ფოსტამ მეორე შვილობილი დაარეგისტრირა. ამჯერად ჩეხეთში. კომპანიის სახელია შპს ჯორჯიან პოსტ (ჩეხ) 07294816 და მის საქმიანობას წარმოადგენს საფოსტო მომსახურებების მიწოდება და საზღვარგარეთული საფოსტო მომსახურებების უზრუნველყოფა.

ფოსტის აუდიტიდან კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ირკვევა – საქართველოს ფოსტა თამბაქოს ბიზნესშიც არის ჩართული, კერძოდ, კომპანია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციას ეწევა:

– საქართველოს ფოსტის ძირითადი საქმიანობაა, მომხმარებლის უზრუნველყოფა უნივერსალური საფოსტო და გადაზიდვის მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. ასევე, შპს „საქართველოს ფოსტა“ ეწევა სიგარეტებისა და სხვა პროდუქციის რეალიზაციას, კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას, ფულადი გზავნილების მომსახურებას.

კონკრეტული ვადები, თუ როდის გაიტანს ეკონომიკის სამინისტრო საპრივატიზაციოდ ფოსტას, ჯერ განსაზღვრული არ არის. იმის მიუხედავად, რომ მთავრობამ მსხვილი ობიექტების პრივატიზება დააანონსა, 2019 წლის ბიუჯეტში, პრივატიზების საპროგნოზო მაჩვენებლად კვლავ მინიმალური ოდენობის თანხა – 70 მილიონი ლარია მითითებული.

ბმ.გე

# ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ქცევის კოდექსს დანერგავს



საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ქცევის კოდექსს დანერგავს.

ამის შესახებ ბანკის ვიცეპრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა „საქმიან დილაში“ განაცხადა.

მისი თქმით, დაინერგება წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ შემუშავებული ერთ-ერთი საუკეთესო ქცევის კოდექსი, რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა.

– გვსურს, ეს კოდექსი გადმოვიღოთ საქართველოში. სავალუტო ბაზარი ჩვენთან არ არის რეგულირებული, მაგრამ ბოლო წლებში გაჩნდა იმის საჭიროება, რომ ერთიანი გამჭვირვალე ქცევის წესები იყოს ამ ბაზარზე. 40-მდე ცენტრალური ბანკი გაწევრიანებულია და გვინდა, ჩვენც შევუერთდეთ, – განაცხადა მესტვირიშვილმა.

# გურამ დონაძეს, ირაკლი ფირცხალავას, ზურა მიქაძესა და დავით იაშვილს ბუტა რობაქიძის საქმეზე 5-5 წლით პატიმრობა შეეფარდათ

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შს სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილ უფროსს პატიმრობა 5 წლითა და 3 თვით მიუსაჯეს. გურამ დონაძე დამნაშავედ 332-ე მუხლით იქნა ცნობილი.

ბუტა რობაქიძის გარდაცვალების საქმეში გამოძიება დონაძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებოდა.

გადაწყვეტილება მოსამართლე დავით მგელიაშვილმა გუშინ, 18 დეკემბერს, გამოაცხადა.

მის გარდა დამნაშავედ იქნენ ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა ყოფილი მაღალჩინოსნებიც.

ირაკლი ფირცხალავა დამნაშავედ ცნობილია 332-ე მუხლით და მიესაჯა 5 წლისა და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

დავით იაშვილი – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ზურაბ მიქაძე – 5 წლითა და 3 თვით.

ზაზა ბაქრაძეს, რომელიც დანაშაულს აღიარებდა, საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და მას სასჯელის სახით განესაზღვრა პირობითი მსჯავრი 4 წლითა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა 5.000 ლარის ოდენობით და 2 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

გურამ დონაძე, ირაკლი ფირცხალავა, ზურა მიქაძე და დავით იაშვილი სხდომათა დარბაზშივე დააკავეს.

❖ ❖ ❖

სასამართლოში ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე განაჩენის გამოცხადებას ხმაური მოჰყვა.

დარბაზში მყოფმა ერთ-ერთმა პირმა სანთებელა ისროლა, რომელიც საქმის პროკურორ დავით მეფარიძეს თავში მოხვდა. ამის გამო დარბაზში ექიმი მიიყვანეს.

ამასთან, ერთ-ერთ ბრალდებულ ზაზა ბაქრაძეს, რომელიც სასამართლომ სხვა პირების მსგავსად დამნაშავედ ცნო, თუმცა მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდება, დაკავებულების ოჯახის წევრები დაუპირისპირდნენ.

❖ ❖ ❖

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, 1995 წელს დაბადებული პირი ლ.ბ. სასამართლოს უპატივცემლობის ბრალდებით დააკავა.

უწყების ინფორმაციით, ლ.ბ.-მ სანთებელა ისროლა, რომელიც პროკურორ დავით ნეფარიძეს შუბლის არეში მოხვდა, რამაც მას დაზიანება მიაყენა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში მომხდარ ინციდენტზე, კერძოდ, სამართალწარმოების მონაწილის მიმართ უპატივცემულობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. დაკავებულია 1995 წელს დაბადებული ლ.ბ.

საქალაქო სასამართლოში ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით განაჩენის გამოცხადებას დარბაზში ხმაური მოჰყვა. პროცესზე მყოფმა ერთ-ერთმა მოქალაქემ, 1995 წელს დაბადებულმა ლ.ბ. სანთებელა ისროლა, რომელიც პროკურორ დავით ნეფარიძეს შუბლის არეში მოხვდა და დაზიანება მიაყენა.



მანდატურებმა ლ. ბ. სასამართლოს ეზოში შეაჩერეს. აღნიშნული პირი პოლიციამ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოში გადაიყვანა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასამართლოს უპატივცემულობას გულისხმობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# ნაცემი სამხედრო დავით ბერიშვილი რუსთავი 2-ში მივიდა

## ის ცემას ელგუჯა ბიბინიძეს აბრალებს

სასტიკად ნაცემი სამხედრო დავით ბერიშვილი, რომელიც 17 დეკემბერს დახმარებისთვის რუსთავი 2-ში მოვიდა, თავდასხმაში ვიცეპოლკოვნიკ ელგუჯა ბიბინიძეს ადანაშაულებს.

ბრალდებებს უარყოფს ვიცეპოლკოვნიკი. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ კი გამოძიება 387-ე მუხლით დაიწყო, რაც სამხედრო მოსამსახურის ძალადობაზე პასუხისმგებლობას გულისხმობს.



ჯარისკაცი, რომელიც წვრთნებს ალგეთში გადიოდა, მრავლობითი დაზიანებებით რუსთავი 2-ში მოვიდა, სწორედ ტელეკომპანიის შენობაში აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარების სამსახურის ექიმებმა მას პირველი დახმარება.

განმარტებები გაკეთდა თავდაცვის სამინისტროში.

უწყების პრესსამსახურში ჯარისკაცის მეთაურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამბობენ, რომ ფიზიკურ ანგარიშსწორებას ადგილი არ ჰქონია.

პრესსამსახურის თქმით, სამხედროს დათხოვა დისციპლინური დარღვევის გამო მოხდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება 387-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფისთვის. ჩატარდება სამედიცინო ექსპერტიზები.

# ზაზა სარალიძე: „ბორცვაძე დამპირდა, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება“

გუშინ, 18 დეკემბერს, ზაზა სარალიძე შსს-ში იმყოფებოდა. მოკლული დავით სარალიძის მამამ საგამოძიებო უწყებაში რამდენიმე საათი გაატარა. მას უწყების წარმომადგენლებმა ხელახალი გამოძიების შედეგები და მოპოვებული ახალი მტკიცებულებები გააცნეს.



გამომძიებელთან შეხვედრის შემდეგ ზაზა სარალიძემ განაცხადა, რომ კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელისგან, ვლადიმერ ბორცვაძისგან, მიიღო პირობა, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება.

ზაზა სარალიძის თქმით, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს პერიოდში მისი შვილის მკვლელობის საქმეზე რამდენიმე პირი დააკავონ.

– დღის წესრიგში დგას კონკრეტული პირების დაკავების საკითხი, მაგრამ არ ვიცი, რატომ იკავებენ თავს, რა ხდება. მაგრამ რომ ჩავალ ბოლომდე, გადავიკითხავ საქმის მასალებს, უკვე კონკრეტულ კითხვებს დავსვამ. მე არ განვიხილავ მხოლოდ და მხოლოდ კალანდიას საკითხს, მე განვიხილავ ყველა ადამიანის საკითხს, ვინც შემხებლობაში იყო ამ საქმესთან და ნებისმიერი, ის პროკურორი იქნება, თუ გამომძიებელი იქნება, თუ ვინც კი დანაშაული ჩაიდინა ამ საქმის გაყალბებაში, ყველა უნდა იყოს პასუხისგებაში მიცემული, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

ზაზა სარალიძე შსს-ში ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა.

ნესტან ლონდარიძის თქმით, შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ ამ ეტაპზე საქმესთან დაკავშირებით განმეორებით არიან გამოკითხული არასრულწლოვანები, ასევე მათი ოჯახის წევრები.

ადვოკატის განცხადებით, გამოკითხულია არაერთხელ მირზა სუბელიანიც.

# 34 წლის მოშიმშილე პატიმარი გიო ფასიეშვილი გლდანის ციხეში გარდაიცვალა



34 წლის ოზურგეთელი პატიმარი, რომელიც გლდანის ციხეში შიმშილობდა, 17 დეკემბერს გარდაიცვალა.

„გურიის მოამბის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, გლდანის ციხის პატიმარი, ოზურგეთელი გიო ფასიეშვილი, გათავისუფლების მოთხოვნით 40 დღეზე მეტხანს შიმშილობდა. ის ღუდუშაურის კლინიკაში გარდაიცვალა.

აღნიშნულ კლინიკაში პატიმარი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო გადაიყვანეს.

34 წლის ფასიეშვილი ერთი წლის წინ მეზობლის დაჭრის ფაქტზე დააკავეს.

ერთ თვეზე მეტი პატიმარი საკვებს პროტესტის ნიშნად არ იღებდა. მან უარი განაცხადა მედიკამენტოზურ მკურნალობაზეც.

გარდაცვლილი ოზურგეთში, კრუპსკაიას ქუჩაზე ცხოვრობდა. მას საკუთარ საცხოვრებელ სახლში რამდენიმე დღეში გადაასვენებენ.

# ანა ტყეშელაშვილი, რომელიც მტკვარში ბანკის ვალების გამო გადახტა, 500 ლარით დააჯარიმეს?

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალი, რომელიც ბანკის ვალების გამო მტკვარში გადახტა, 500 ლარით დააჯარიმეს.

„ქალბატონი, რომელიც ბანკის ვალების გამო მტკვარში გადახტა, 500 ლარით დააჯარიმეს!!! უშედეგო თვითმკვლელობა ჩვენთან ისჯება 500 ლარის გადახდით“, – წერენ სოციალური ქსელის მომხმარებლები.

„ნიუპოსტი“ კომენტარისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც აღნიშნული ინფორმაცია უარყვეს.

უწყება ამბობს, რომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას ითვალისწინებს.

სამი შვილის დედამ თვითმკვლელობა გუშინ, 18 დეკემბერს, დილით ცადა.

ანა ტყეშელაშვილის თქმით, მან თითქმის ყველა საჯარო უწყება სამსახურის დაწყების თხოვნით შემოიარა, თუმცა მუშაობის დაწყებაზე უარი ყველგან ერთი და იმავე მიზეზით უთხრეს. ქალი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერის გამო მას სამსახურში არ იღებენ.

# ქუთაისი-მილანის თვითმფრინავში ქართველი ქალი გარდაიცვალა




ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან, მილანის მიმართულებით მოძრავ თვითმფრინავში ქალბატონი გარდაიცვალა.

როგორც აეროპორტების გაერთიანების პრესსამსახურში აცხადებენ, ქალი თვითმფრინავში შეუძლოდ გახდა, რის გამოც თვითმფრინავი უახლოეს ქალაქ ბელგრადში დაჯდა, თუმცა სამედიცინო დახმარების აღმოჩენამდე ქალი უკვე გარდაცვლილი იყო.

„საქართველოს მოქალაქე დაიღუპა. თუმცა მას შემდეგ რაც ქალბატონი ცუდად გახდა, თვითმფრინავი უახლოეს ქალაქ ბელგრადში დაჯდა, თუმცა სამწუხაროდ ქალი უკვე გარდაცვლილი იყო,“ – განაცხადეს აეროპორტების გაერთიანების პრესსამსახურში.

# მაღლივის ხიდიდან მამაკაცი გადახტა და გარდაიცვალა




გამთენიისას ე.წ. მაღლივის ხიდიდან მამაკაცი გადავარდა და ადგილზე დაიღუპა. ფაქტს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ადასტურებენ.

ერთ-ერთი ვერსიით, მამაკაცი ხიდიდან გადახტა.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# მცხეთის მერიის მაღალჩინოსანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისებასთან დაკავშირებულ პროცედურებში ხელშეწყობისათვის, მოქალაქეს მოსთხოვა 2.000 აშშ დოლარი, საიდანაც წინასწარ 1.000 აშშ დოლარი აიღო.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

# პოროშენკო: „რუსეთმა უკრაინის საზღვართან 300-ზე მეტი ტანკი განათავსა“



უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს განცხადებით, რუსეთის ფედერაციამ უკრაინაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების წინ, რუსეთ-უკრაინის საზღვრიდან 18 კილომეტრის დაშორებით მდებარე სამხედრო ბაზაზე 300 ერთეულზე მეტი ტანკი განალაგა.

ამის შესახებ სააგენტო „უნიანი“ იუწყება.

დნეპრში პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრისას პოროშენკომ განაცხადა, რომ ეს ყველაფერი მან თანამგზავრიდან გადაღებულ მასალებზე ნახა. მისივე თქმით, ამავე ბაზებზე მიიყვანეს სამხედროები და საბრძოლო მასალები.

უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთმა ასევე ქერჩის სრუტის გადასაკეტად, სანაპირო ბატარეები და სარაკეტო კომპლექსები განათავსა, ჯარები განალაგა უკრაინის საზღვრის გასწვრივ და ძალები აზოვის ზღვის ოკუპაციისთვის.

უკრაინის პრეზიდენტმა 26 ნოემბერს, 30 დღით, ქვეყნის 10 რეგიონში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა.

# ვაშინგტონ პოსტი: „რუსეთმა ტრამპის არჩევას ხელი შეუწყო!“

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ოქსფორდის უნივერსიტეტის ანალიტიკური ცენტრის დასკვნა გამოაქვეყნა.

მასში ნათქვამია, რომ რუსეთმა ტრამპის არჩევას ხელი შეუწყო.

– სოციალური ქსელების მეშვეობით რუსებმა ტრამპის არჩევას ხელი შეუწყვეს, – ამტკიცებენ ბრიტანელი ანალიტიკოსები.

რუსებისთვის ტრამპის წინასაარჩევნო პროგრამა „ამერიკა უწინარეს ყოვლისა“ მისაღები იყო. პრეზიდენტობის პრეტენდენტი ტრამპი აცხადებდა, რომ უკრაინა ამერიკის პრობლემა არაა და მისი უწინარესი მიზანი ამერიკული მრეწველობის შემდგომი განვითარებაა.

– პუტინისათვის ეს სავსებით მისაღები იყო. ტრამპიც პრეზიდენტად აირჩიეს, – მიიჩნევენ ინგლისელი ექსპერტები.




# ერდოღანი: „ამერიკა თანახმაა, რომ თურქეთმა სირიაში ახალი ოპერაცია ჩაატაროს“




თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ მალე თურქეთის არმია სირიაში ახალ ოპერაციას დაიწყებს. საუბარია ევფრატის აღმოსავლეთ რაიონზე. იქ ქურთების შეიარაღებული ფორმირებები არიან დაბანაკებული.

– ოპერაცია ყოველ წამს შეიძლება დაიწყოს, – აცხადებს ერდოღანი.

თურქეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტს დაუკავშირდა და ამ საკითხზე მოელაპარაკა.

– ტრამპი თანახმაა, რომ თურქეთმა სირიაში ახალი ოპერაცია ჩაატაროს, – ამბობს ერდოღანი.

თურქეთის პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ ქურთები თურქეთის წინააღმდეგ ტერაქტს გეგმავენ და ევფრატის აღმოსავლეთით დაბანაკებული ქურთული ფორმირებებიც ანტითურქულ ტერორისტულ დაჯგუფებებს წარმოადგენენ.

– ჩვენ ტერორისტული დერეფნის შექმნას არ დავუშვებთ! – აცხადებს ერდოღანი.

# მიტროპოლიტი ეპიფანე: „მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიებს ძალით არ დავიკავებთ“

ახლად შექმნილი უკრაინის ერთიანი მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურმა, მიტროპოლიტმა ეპიფანემ უკრაინაში რელიგიურ ნიადაგზე ყოველგვარი ძალადობა გამორიცხა.

– მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ტაძრების ძალად დაკავება არ მოხდება! – განაცხადა მან.

მისმა უწმინდესობამ ხაზი გაუსვა, რომ ეკლესია მუდამ ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი იყო. უკრაინული ეროვნული მოძრაობაც არა მხოლოდ პატრიოტული, არამედ კაცთმოყვარე და ჰუმანისტური მოძრაობაა. ასე იყო ჯერ კიდევ კაზაკურ ხანაში ჰაიდამაკთა აჯანყებების დროს; ასევე იყო სიმონ პეტლიურას და სტეპან ბანდერას დროს. ასეა ახლაც.

– მოსკოვის საპატრიარქოსთან ურთიერთობისას ჩვენ კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამოვალთ, – ამბობს ეპიფანე.



# 2018 წელს მსოფლიოში 80 ჟურნალისტი დაიღუპა




2018 წლის 11 თვის განმავლობაში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მსოფლიოში 80 ჟურნალისტი დაიღუპა. ამის შესახებ ნათქვამია ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ანგარიშში.

ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში დაღუპული ჟურნალისტების რაოდენობა მცირდებოდა, თუმცა წელს ამ რიცხვმა ზრდა დაიწყო.

2018 წელს დაღუპული ჟურნალისტების ნახევარზე მეტი ხუთ ქვეყანაზე მოდის: ავღანეთი (15), სირია (11), იემენი (8), მექსიკა (9) და ინდოეთი (6).

რეზონანსულ ინციდენტებს შორის ორგანიზაცია აღნიშნავს თურქეთში საუდის არაბეთის საკონსულოში საუდელი ჟურნალისტის ჯამალ ხაშოგისა და სლოვაკეთში რეპორტიორ იანა კუციაკის მკვლელობას.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ზამთრისთვის მზადებამ ქალს 100 ათასი დოლარი მოაგებინა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ მურსბოროს მცხოვრებმა ქალბატონმა გადაწყვიტა, ზამთრის უამინდობებისთვის მომზადებულიყო და მსხვილი მოგება მიიღო.

ბარბარა ბრენჩი მაღაზიაში თოვლის მოსვლამდე საწვავის მოსამარაგებლად წავიდა.

– მინდოდა, რომ ყველაფერი მქონოდა მომარაგებული იმ შემთხვევისთვის, თუ დენი გამოირთვებოდა, – განაცხადა ქალმა, როდესაც სალაროსთან ფულის გადასახდელად მივედი, რაღაც გრძნობამ მიბიძგა, რომ ლატარიის ბილეთი შემეძინა.

ბრენჩმა მომენტალური ლატარიის ბილეთი იყიდა, დამცავი ფენა გადაფხიკა და დაინახა, რომ 100 ათასი დოლარი მოიგო. მან საკუთარ თვალებს არ დაუჯერა და გამყიდველს სთხოვა, გადაემოწმებინა.

– როდესაც მან მითხრა, რომ ხელი მომეწერა, ხელები ამიკანკალდა, – გაიხსენა ბრენჩმა.

– ჩვეულებრივ, ზამთრის უამინდობის წინ, ადამიანები მაღაზიიდან სახლში პურითა და სხვა პროდუქტებით ბრუნდებიან, მე კი 100 ათასი დოლარით დავბრუნდი, – ამბობს ქალი და მოგებული ფულით სახლის გარემონტებას გეგმავს.






# სამეფო კობრამ მომთვინიერებელი მაყურებლების თვალწინ დაგესლა

ტაილანდის ქალაქ პხუკეტში წარმოდგენის დროს სამეფო კობრამ თავის მომთვინიერებელს უკბინა.

35 წლის მსახიობს გველი ხელებში ეჭირა, რა დროსაც ქვეწარმავალმა მას კბილები ხელში ჩაასო. მამაკაცმა ის სასწრაფოდ მოიცილა და მიწაზე დაანარცხა. შემდეგ კი არენა დატოვა.

– გველებს ჩემთვის ბევრჯერ უკბენიათ, მაგრამ ასეთი მძიმე შედეგი არასოდეს მქონია, – ამტკიცებს მომთვინიერებელი, – სულის ხუთვა დამეწყო და გონება დავკარგე.

დაშავებული სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას შხამის საწინააღმდეგო წამალი გაუკეთეს. სამი დღის შემდეგ ის საავადმყოფოდან გამოეწერა, თუმცა კობრის კბენის შედეგი ერთი კვირის შემდეგაც კი ეტყობა. გველის შხამის გამო მას მარჯვენა ხელზე, თეძოებსა და ტუჩის შიდა მხარეს დამწვრობის მსგავსი იარები ემჩნევა.

– ეს სამეფო კობრაა სამხრეთ ტაილანდიდან და მას ძალიან ძლიერი შხამი აქვს, – ამბობს მომთვინიერებელი, – მაგრამ ასეთს არ მოველოდი, თითქოსდა ეს ურჩხული კობრა იყოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ოქრიაშვილი კრასნოდარიდან დროის სიმცირის გამო წავიდა



როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა თორნიკე ოქრიაშვილმა კრასნოდარი დატოვა. ხელშეკრულება ორმხრივი თანხმობის შედეგად გაწყდა. სოციალურ ქსელებში ბევრი რამ დაიწერა – ჭორიც, მართალიც, ვარაუდიც...

ყველაფერს უპასუხა ოქრიაშვილის აგენტმა თემურ ლეფსაიამ, რომელმაც კომენტარი რუსულ მედიასთან გააკეთა.

**თემურ ლეფსაია:**

– ეს ორმხრივი გადაწყვეტილება იყო. ოქრიაშვილს არ აკმაყოფილებდა მიღებული სათამაშო დროის რაოდენობა. ჩვენ მადლიერები ვართ კრასნოდარის ხელმძღვანელობის მიმართ, რადგან დაგვთანხმდნენ შეხვედრაზე. ვისურვებდი, ასევე მადლობა გადავუხადო კლუბს, რომელმაც თავის დროზე ნდობა გამოავლინა და ოქრიაშვილი გუნდში მიიწვია. ვფიქრობ, ამას ისინიც არ უნდა ნანობდნენ.

კრასნოდარი სუპერკლუბია, სადაც ყველაფერი მაღალ დონეზეა. ოქრიაშვილმა კლუბისთვის ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა და გულშემატკივრებს ემოციური მომენტები აჩუქა. თუნდაც მხოლოდ ზენიტთან და სევილიასთან გატანილი გოლები გავიხსენოთ. ის ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებდა. ამიტომაც, კრასნოდარის ხელმძღვანელობამ ურთიერთობიდან გამომდინარე უარი არ თქვა ორმხრივი გადაწყვეტილების მიღებაზე.

ოქრიაშვილი ამბიციური ადამიანია, რომელსაც მინდორზე მაქსიმალური დროის გატარება სურს. შესაბამისად, მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება და მეგობრულად დავშორდით. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ კრასნოდარის გულშემატკივრებს, რომლებიც ოქრიაშვილის მისამართით ყოველთვის განსაკუთრებულ სითბოს ავლენდნენ. ახლა ოქრიაშვილი დასასვენებლადაა და მისი საქმეებით ჩვენ ვართ დაკავებული. ცხადია, არის ინტერესი როგორც რუსული, ისე ევროპული კლუბებიდან, ამიტომ ვფიქრობ, ის უმუშევარი არ დარჩება.

# ძიუდოს ნაკრების მწვრთნელად გურამ მოდებაძე დაინიშნა



მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი რომელიმე ნაკრების მწვრთნელის სოციალური ქსელით შეტყობა. ასე მოხდა ძიუდოისტთა ნაკრების შემთხვევაში – ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ფეისბუქგვერდზე გავრცელებული ინფორმაციით, ნაკრების მწვრთნელად გურამ მოდებაძე დაინიშნა.

– 2018 წლის 17 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გურამ მოდებაძის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შესახებ, – წერია განცხადებაში.

ცხადია, უფრო უპრიანი იქნებოდა, განცხადების ნაცვლად ფედერაციას პრესკონფერენცია მოეწყო და ჟურნალისტები მიეწვია. იქნებ არის კითხვები ახალ მწვრთნელთან და საერთოდ ძიუდოში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

და რატომ იქნებ? კითხვები ნამდვილად არის, მაგრამ პასუხის გაცემა რატომღაც ჭირს. არა, ამ ეტაპზე გურამ მოდებაძის საწინააღმდეგო კი არაფერია, რადგან ჯერ არ გვინახავს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და მის საქმიანობას უფრო ძიუდოისტებთან ინდივიდუალური მუშაობით ვიცნობთ და საკმაოდ წარმატებულადაც. მარტო დღევანდელ ნაკრებში მისი 2 აღზრდილია – ავთანდილ ჭრიკიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი. ორივე ტიტულოვანი, მაგრამ...

ეს მაგრამ მოგყვება იმ დღიდან, როდესაც ნაკრების წევრთა დიდმა ნაწილმა ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილის გადადგომა მოითხოვა. მაშინ მოდებაძემ მხარი პრეზიდენტს დაუჭირა, ხოლო მისმა აღსაზრდელებმა ღიად განაცხადეს, რომ მოდებაძე ამ საქმეებში არ უნდა ერეოდეს და მისი საქმე ძიუდოისტების აღზრდაა.

დღეს კი მოდებაძე მათი და კიდევ დანარჩენი ნაკრების წევრების მწვრთნელია. იმ ნაკრების, რომელიც ნაწილ-ნაწილ დადის ტურნირებზე. იმ ნაკრების, რომლის შიგნით ერთსულოვნება არ არის და ამის დასტურია იაპონიის ქალაქ ოსაკაში მომხდარი ინციდენტი, სადაც ნაკრების წევრები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

სწორედ ამ განხეთქილების გამო თქვა ნაკრებში მუშაობაზე უარი ჯარჯი ზვიადაურმა, იმავე ილიას ილიადისმა და განაცხადა, რომ სანამ ნაკრებში სიტუაცია არ დალაგდებოდა, მანამდე მუშაობის გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ფედერაციამ ნაუცბათევი გადაწყვეტილება მიიღო და მწვრთნელის დანიშვნა აღარ გადადო.

ვნახოთ, დაალაგებს თუ არა სიტუაციას გურამ მოდებაძე, რომელიც საქმიანობას 2018 წლის 27-28 დეკემბერს გასამართ საქართველოს ჩემპიონატიდან შეუდგება.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ჩინეთში გამართული მასტერსის შემდეგ, რომელიც სეზონის ბოლო საერთაშორისო ტურნირი იყო, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 2018 წლის დასკვნითი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც ქართველები წამყვან პოზიციებზე იმყოფებიან.

აღსანიშნავია, რომ ვაჟთა კლასიფიკაციის გაერთიანებულ კლასიფიკაციაში 1-2 ადგილები გურამ თუშიშვილსა (+100კგ) და ვარლამ ლიპარტელიანს (100) უკავიათ, მესამე კი ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადიშვილია (90).

ცხადია, ამ ძიუდოისტებს თავიანთ წონით კატეგორიებშიც ლიდერთა პოზიციები უპყრიათ, კიდევ 3 ქართველ ძიუდოისტს კი მე-2 ადგილზე ვხედავთ – ამირან პაპინაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66) და ლაშა შავდათუაშვილი (73).

**ყველა წონის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:**

1. გურამ თუშიშვილი (საქართველო) – 8.102 ქულა; 2. ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველო) – 7.408; 3. ნიკოლოზ შერაზადიშვილი (ესპანეთი) – 7.166; 4. საეიდ მოლაი (ირანი) – 6.394; 5. ჩანგრიმ ანი (კორეა) – 6.280; 6. რობერტ მშვიდობაძე (რუსეთი) – 6.176; 7. ჰიფუმი აბე (იაპონია) – 6.050; 8. ამირან პაპინაშვილი (საქართველო) – 6.026; 9. ვაჟა მარგველაშვილი (საქართველო) – 5.780; 10. კრისტიან ტოტი (უნგრეთი) – 5.749.

# პეპ გვარდიოლამ რეალისკენ გაიხედა



სეზონის დამთავრების შემდეგ რეალის შემტევი ისკო, სავარაუდოდ, სიტიში გადავა. ესპანური პრესა ირწმუნება, რომ ინგლისური კლუბისა და ფეხბურთელის აგენტები ერთმანეთს უკვე შეხვდნენ. ცხადია, მათ ისკოს სატრანსფერო საკითხები განიხილეს და იმ თანხის გადახდის მეთოდებზე ილაპარაკეს, რითაც რეალის ინტერესი უნდა დაკმაყოფილდეს.

სატრანსფერო თანხა კი, არც მეტი, არც ნაკლები 700 მილიონი ევრო გახლავთ. ამავდროულად, მანჩესტერში მიაჩნიათ, რომ ისკოს ღირებულება 100 მილიონზე მეტი არ შეიძლება იყოს.

პეპ გვარდიოლა ისკოს ტრანსფერით თურმე იმდენად ყოფილა დაინტერესებული, რომ ლამის ყოველდღიურად კითხულობს მოლაპარაკების ამბავს, ამასთან ერთად, საკითხის მოგვარებას ზამთარშივე ითხოვს.

ეს კი შეუძლებელიაო, დასძინენ აგენტები. მოკლედ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ნურც ჩვენ გამოვრიცხავთ, რომ ისკო სიტის ნაახალწლევს შეუერთდეს. მას რეალთან კონტრაქტი 2022 წლამდე აკავშირებს.

უკვე ისიც დაიწერა, რომ ისკოს მადრიდელთა მწვრთნელ სანტიაგო სოლარისთან კონფლიქტი აქვს. ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ისკომ მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა, რის შემდეგაც დაიძაბა კიდეც მათ შორის ურთიერთობა.

# მოურინიო მანჩესტერიდან გაუშვეს



მანჩესტერის ხელმძღვანელობამ ჟოზე მოურინიო დაითხოვა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ბოლო დროს მანჩესტერი აშკარად ცუდ შედეგს აჩვენებდა. მეტიც – პორტუგალიელი სპეციალისტის გათავისუფლებას გულშემატკივართა დიდი ნაწილი მანამდეც ითხოვდა, მაგრამ მოურინიოს ხელმძღვანელობის მხარდაჭერა ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ჟოზე უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე საქმის გამოსწორებაზე ფიქრობდა. ბოლო წვეთი კი ლივერპულთან მარცხი იყო.

55 წლის პორტუგალიელმა სპეციალისტმა „წითელი ეშმაკების“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ბოლო შეხვედრა პრემიერლიგის მე-17 ტურში, სტუმრად, სწორედ ლივერპულთან გამართა, რომელიც მისმა გუნდმა ანგარიშით 1:3 დათმო. ამჟამად გუნდი 26 ქულით სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა.

17 ტურის შემდეგ 26 ქულა ბოლო 28 წლის განმავლობაში მანჩესტერული კლუბის ანტირეკორდია და ეს საბედისწერო აღმოჩნდა.

– კლუბი მადლობას უხდის ჟოზეს გაწეული სამსახურისთვის მანჩესტერ იუნაიტედში და წარმატებებს უსურვებს მომავალში. მალე გამოცხადდება დროებითი მწვრთნელის შესახებ, რომელიც გუნდს სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს, ამავდროულად, კლუბი ახალი მწვრთნელის ძიებას დაიწყებს, – წერია კლუბის განცხადებაში.

მოურინიომ გუნდი 2016 წლის ზაფხულში ჩაიბარა. წითელ ეშმაკებთან ერთად მან ქომუნითი შილდი, ლიგის თასი და ევროპის ლიგა მოიგო. თუმცა, ამ ტიტულების რაოდენობა ძალიან მცირეა მანჩესტერ იუნაიტედისთვის.

მოურინიომ თამაშები კი წააგო, მაგრამ არ წაუგია პირად ცხოვრებაში, რადგან კომპენსაციის სახით 24 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდიან.

ვინ იქნება მანჩესტერის მთავარი მწვრთნელი? სეზონის ბოლომდე გუნდს მაიკლ კერიკი უხელმძღვანელებს. კერიკი „წითელი ეშმაკების“ ღირსებას 2006-12 წლებში იცავდა და გუნდთან ერთად თითქმის ყველა შესაძლო ტიტული მოიგო. მიმდინარე სეზონის დასაწყისიდან კი, მოურინიოს ასისტენტად მუშაობდა.

რა მოხდება სეზონის ბოლოს? მანჩესტერი, შესაძლოა, ლორან ბლანმა ჩაიბაროს. ბრიტანული მედია ვარაუდობს, რომ ფრანგი მანჩესტერის მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

ცნობისთვის, ფრანგი სპეციალისტი ფეხბურთელობისას ერთხანს იუნაიტედის ფეხბურთელი გახლდათ. „წითელი ეშმაკების“ ღირსებას იგი 2001-03 წლებში იცავდა. რაც შეეხება ბლანის სამწვრთნელო კარიერას, 2007-10 წლებში იგი ბორდოს მწვრთნელი გახლდათ, მომდევნო 2 წელი საფრანგეთის ნაკრებს თავკაცობდა, ხოლო 2013-16 წლებში პსჟ-სთვის ირჯებოდა.

საუბარია ასევე მაურისიო პოჩეტინოზე. უფრო კონკრეტულად კი, მანჩესტერელთა ყოფილი კაპიტანი გარი ნევილი ხელმძღვანელობას სწორედ არგენტინელ სპეციალისტს ურჩევს.

საუბარია კიდევ ერთ ფრანგ სპეციალისტზე. ეს ზინედინ ზიდანია.

ვნახოთ, დაველოდოთ... იქნებ მაიკლ კერიკი ისეთი მწვრთნელი გამოდგეს, მისი ჩანაცვლება სულაც არ გახდეს საჭირო.

# შედეგები

**17 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ნოტინგემი .......................... 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ბილბაო .......................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 16 | 10 | 4 | 2 | 46:19 | 34 |
| 2.სევილია | 16 | 9 | 4 | 3 | 29:16 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 16 | 8 | 7 | 1 | 24:12 | 31 |
| 4.რეალი | 16 | 9 | 2 | 5 | 24:19 | 29 |
| 5.ბეტისი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:18 | 25 |
| 6.ალავესი | 16 | 7 | 4 | 5 | 18:17 | 25 |
| 7.ხეტაფე | 16 | 6 | 6 | 4 | 17:12 | 24 |
| 8.ლევანტე | 16 | 6 | 4 | 6 | 27:30 | 22 |
| 9.სელტა | 16 | 5 | 6 | 5 | 28:24 | 21 |
| 10.ხირონა | 16 | 5 | 6 | 5 | 17:19 | 21 |
| 11.ესპანიოლი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:23 | 21 |
| 12.ვალიადოლიდი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| 13.ეიბარი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:24 | 20 |
| 14.ვალენსია | 16 | 3 | 10 | 3 | 13:13 | 19 |
| 15.სოსიედადი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:19 | 19 |
| 16.ლეგანესი | 16 | 4 | 6 | 6 | 15:19 | 18 |
| 17.ვილიარეალი | 16 | 3 | 6 | 7 | 17:21 | 15 |
| 18.ბილბაო | 16 | 2 | 9 | 5 | 15:23 | 15 |
| 19.რაიო | 16 | 2 | 4 | 10 | 15:31 | 10 |
| 20.უესკა | 16 | 1 | 5 | 10 | 14:32 | 8 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კიოლნი-მაგდებურგი ...................... 3:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ლაციო .......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 16 | 15 | 1 | 0 | 33:8 | 46 |
| 2.ნაპოლი | 16 | 12 | 2 | 2 | 33:14 | 38 |
| 3.ინტერი | 16 | 10 | 2 | 4 | 28:13 | 32 |
| 4.მილანი | 15 | 7 | 5 | 3 | 24:18 | 26 |
| 5.ლაციო | 16 | 7 | 4 | 5 | 22:19 | 25 |
| 6.ატალანტა | 16 | 7 | 3 | 6 | 30:20 | 24 |
| 7.რომა | 16 | 6 | 6 | 4 | 29:22 | 24 |
| 8.სასუოლო | 16 | 6 | 6 | 4 | 26:22 | 24 |
| 9.სამპდორია | 16 | 6 | 5 | 5 | 25:19 | 23 |
| 10.ფიორენტინა | 16 | 5 | 7 | 4 | 24:17 | 22 |
| 11.ტორინო | 16 | 5 | 7 | 4 | 19:17 | 22 |
| 12.პარმა | 16 | 6 | 3 | 7 | 16:21 | 21 |
| 13.კალიარი | 16 | 3 | 8 | 5 | 15:20 | 17 |
| 14.ემპოლი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:29 | 16 |
| 15.სპალი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:24 | 16 |
| 16.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 22:33 | 16 |
| 17.უდინეზე | 16 | 3 | 4 | 9 | 13:22 | 13 |
| 18.ბოლონია | 15 | 2 | 5 | 8 | 13:24 | 11 |
| 19.ფროზინონე | 16 | 1 | 5 | 10 | 11:35 | 8 |
| 20.კიევო | 16 | 0 | 7 | 9 | 12:32 | 4 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ვერონა-პესკარა ............................ 3:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ვალანსიენი-მეცი ........................... 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-პაოკი ...................... 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ფენერბახჩე-ერზრუმი ..................... 2:2

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ჰობრო .............................. 1:0

# ოქროს ბიჭუნა მატიას დე ლიხტი გახდა



აიაქსის მცველი მატეის დე ლიხტი მიმდინარე წლის „ოქროს ბიჭუნა“ გახდა. ჯილდო იტალიურ გაზეთ „ტუტოსპორტის“ დაწესებულია და ევროპის საუკეთესო 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელს ყოველწლიურად აკუთვნებს.

დე ლიხტის გარდა, ჯილდოს პრეტენდენტები იყვნენ ტრენტ ალექსანდრ-არნოლდი (ლივერპული), ჯასტინ კლუივერტი (რომა), პატრიკ კუტრონე (მილანი) და ვინისიუს ჟუნიორი (რეალი). „ტუტოსპორტის“ გამოკითხვაში გულშემატკივრები და ევროპის 35 წამყვანი გამოცემის ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.

დაჯილდოების შემდეგ დე ლიხტმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ახლა ურჩევნია, ჰაკიმ ზიეჩთან ერთად ითამაშოს, ვიდრე კრიშტიანუ რონალდუსთან ან ლიონელ მესისთან ერთად.

**მატიას დე ლიხტი:**

– იტალია ფეხბურთის სათამაშოდ შესანიშნავი ქვეყანაა, მაგრამ ამ მომენტისთვის მთლიანად აიაქსზე ვარ კონცენტრირებული, არ ვფიქრობ მის დატოვებაზე და იმაზე, თუ რომელ ლიგაში შემიძლია კარიერის გაგრძელება, ახლა ჰაკიმ ზიეჩთან ერთად თამაში მირჩევნია მესისთან და რონალდუსთან ერთად თამაშს.

ეს განცხადება იმის პასუხი უფრო იყო, რომ, გავრცელებული ცნობებით, აიაქსის 19 წლის კაპიტნის გადაბირება ერთბაშად რამდენიმე ევროპულ კლუბს, მათ შორის ბარსელონასა და იუვენტუსს სურთ.

მიმდინარე სეზონში ფეხბურთელმა ერედივიზიეს 15 მატჩში ითამაშა და 2 გატანილი გოლით გამოირჩა. მატეის დე ლიხტს ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში 13 მატჩი აქვს ჩატარებული.

პრემია „ოქროს ბიჭუნა“ 2003 წლიდან ტარდება. მისი პირველი მფლობელი კი რაფაელ ვან დერ ვაარტი გახდა. სხვადასხვა დროს ჯილდო მიღებული აქვთ უეინ რუნის, ლიონელ მესის, სესკ ფაბრეგასს, მარიო ბალოტელის, მარიო გიოტცეს, სერხიო აგუეროსა და პოლ პოგბას. 2017 წელს ჯილდოს მფლობელი პარი სენ-ჟერმენის თავდამსხმელი კილიან მბაპე გახდა, რომელიც გასულ ზაფხულს საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი იყო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ჩოგბურთის ფედერაციამ ჯოკოვიჩი და ჰალეპი გამოარჩია

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს 2018 წლის საუკეთესო ქალი და მამაკაცი ჩოგბურთელები გამოავლინა.

მამაკაცთა შორის წლის საუკეთესოს წოდება მსოფლიო რეიტინგში გალიდერებულმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა მოიპოვა. 31 წლის სერბმა, რომელმაც 2018 წელს 2 დიდი სლემისა (უიმბლდონი და აშშ) და 2 მასტერსის (ცინცინატი და შანხაი) მოგება მოახერხა, აღნიშნული ჯილდო კარიერაში მეექვსედ მიიღო.

რაც შეეხება ქალთა შორის წლის საუკეთესო ჩოგბურთელს, ეს სტატუსი მსოფლიო რეიტინგის პირველ ნომერ სიმონა ჰალეპს ერგო. 27 წლის რუმინელ სპორტსმენს, რომელმაც მიმდინარე წელს შენჟენისა და კანადის ტურნირებისა და პარიზის დიდი სლემის მოგება შეძლო, წლის საუკეთესოს წოდება კარიერაში პირველად დაიმსახურა.



**ნოვაკ ჯოკოვიჩი:**

– ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წლის საუკეთესოს წოდების კიდევ ერთხელ მოგება ჩემთვის დიდი პატივია. ყველაფერ იმის შემდეგ, რაც 2018 წელს გამოვიარე ამ ჯილდოს მოპოვებით ძალიან ამაყი ვარ. ყოველთვის მჯეროდა, რომ მწვერვალზე დაბრუნება შემეძლო. მოხარული ვარ, იმით, რომ პიტ სამპრასს დავეწიე, რომელსაც ეს ჯილდო ასევე ექვსჯერ აქვს მოგებული.

ჯოკოვიჩი და ჰალეპი კუთვნილ პრიზს მომავალი წლის 4 ივნისს, პარიზის ღია პირველობისას ჩაიბარებენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საგრძნობლად არის შემცირებული

გერმანიაში საქართველოს ელჩ ელგუჯა ხოკრიშვილის ინფორმაციით, გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საგრძნობლად არის შემცირებული. იგი ამას ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს უკავშირებს.

– ბოლო პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. ამ წლის დასაწყისის სტატისტიკასთან შედარებით, ბოლო პერიოდში თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკა საგრძნობლად არის შემცირებული, – განაცხადა ელჩმა.

რაც შეეხება დასაქმების პერსპექტივას, მისი თქმით, გერმანიის ბუნდესტაგი დღეს განიხილავს მიგრაციის კანონს, რომელმაც უნდა დაარეგულიროს როგორც ახლა არსებული მიგრაციის პროცედურები, ასევე ლეგალური შრომითი მიგრაციის წესები.

– ამ კანონპროექტით გათვალისწინებული წესები გავრცელდება საქართველოს მოქალაქეებზეც. ერთი მხრივ, ეს შეეხება როგორც მაღალკვალიფიციურ კადრებს, ასევე იმ სამუშაოს მაძიებლებს, რომლებსაც აქვთ პროფესიული განათლების კურსი დამთავრებული. დაახლოებით სამი კვირის წინ გამოქვეყნდა კვლევა, რომ გერმანიას დაახლოებით 400.000 დამსაქმებელი ესაჭიროება დამატებით ეკონომიკის განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, გერმანიას სჭირდება ბევრი მიმართულებით როგორც მაღალკვალიფიციური, ისე პროფესიული განათლების მქონე კადრები, – აღნიშნა ხოკრიშვილმა.

# უიმედო ავადმყოფმა შეყვარებულზე საწოლზე მიჯაჭვულმა იქორწინა




სინგაპურში ექიმები კიბოთი დაავადებულ მამაკაცს შეყვარებულთან ჯვრისწერის ჩატარებაში დაეხმარნენ.

ონლაინ-მაღაზიის 58 წლის მფლობელმა პან მინ კვონმა საავადმყოფოდან გაუსვლელად იქორწინა თავის 49 წლის შეყვარებულ კო სო კუანზე, რომელიც სადაზღვევო ფირმას ხელმძღვანელობს. ცერემონიას 50 სტუმარი ესწრებოდა – წყვილის ნათესავები და მეგობრები, ასევე ღვთისმსახური.

კვონი საავადმყოფოში 9 ნოემბრიდან იმყოფება. როგორც კი ის სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს, მან მედდები გააფრთხილა, რომ სურდა შეყვარებულისთვის ხელი ეთხოვა. 17 ნოემბერს მან კუანს ჰკითხა, გახდებოდა თუ არა ის მისი მეუღლე, ხოლო საზეიმო ცერემონია დეკემბრის შუა რიცხვებისთვის დაგეგმა.

საავადმყოფოს თანამშრომლების თქმით, ქალი მოუთმენლად ელოდა ქორწილის დღეს. მედდებმა საავადმყოფო საჰაერო ბუშტებით მორთეს და პატარძალს მაკიაჟის გაკეთებაში დაეხმარნენ, ხოლო საავადმყოფოს მზარეულმა საქორწინო ტორტი გამოაცხო.

წყვილი ერთმანეთს რვა წლის მანძილზე ხვდებოდა. ერთმანეთი კი ჩაის დეგუსტაციაზე გაიცნეს. ორი წლის წინ მათთვის ცნობილი გახდა, რომ მამაკაცს კიბოს ტერმინალური სტადია ჰქონდა, თუმცა ამას მათი ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია. ახლა უკვე ქალი ცდილობს, რომ მთელი თავისუფალი დრო შეყვარებულის გვერდზე გაატაროს.

# ზღვის ფსკერზე ჩასული მყვინთავი გასივდა

წყლის ზედაპირზე ექსტრემალურმა ამოსვლამ ჩილელი მყვინთავის მკერდისა და ხელების ზომების მნიშვნელოვნად გაზრდა გამოიწვია.

ალეხანდრო რამოსი 30 მეტრის სიღრმეზე მუშაობდა, როდესაც სატვირთო ხომალდმა დააზიანა მილი, რომლითაც მყვინთავს წყალქვეშ ჰაერი მიეწოდებოდა. მამაკაცი იძულებული გახდა, სასწრაფოდ წყლის ზედაპირზე ამოსულიყო.



სწრაფი ამოსვლის შემთხვევაში მყვინთავებს დეკომპრესიის ავადმყოფობა ემუქრებათ: სისხლსა და ორგანიზმში შერეული გაზები სისხლში ბუშტულების სახით გამოყოფას იწყებს, რითიც აფერხებს სისხლის მიმოქცევას და უჯრედებისა და სისხლძარღვების კედლებს ამსხვრევს. მძიმე შემთხვევის დროს ის შესაძლოა ადამიანის სიკვდილით დასრულდეს. რამოსი ცოცხალი დარჩა, მაგრამ წონაში ერთბაშად 30 კილოგრამი მოიმატა, ხოლო მკერდისა და მკლავების კუნთები უზარმაზარი ზომის გაუხდა.

მომხდარის შემდეგ ჩილელი მყვინთავი ხალხში გამოჩენას გაურბოდა და თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა. უფულობის გამო მას არ შეეძლო, სამედიცინო დახმარება ეთხოვა, სანამ მისით შემთხვევით ლიმაში სამხედრო საზღვაო ფლოტის სამედიცინო ცენტრში არ დაინტერესდნენ. სპეციალისტის დასკვნით, რამოსის პრობლემა გამოწვეულია მის ცხიმოვან ქსოვილებში დაგროვილი აზოტის ბუშტულებით. მას ხანგრძლივი მკურნალობა და პლასტიკური ოპერაციების სერია ელის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# დანით შეიარაღებული მეთევზე ზვიგენს გაუმკლავდა



ახალ ზელანდიაში დანით შეიარაღებულმა მეთევზემ ორმეტრიანი ზვიგენი-მაკოს თავდასხმის მოგერიება შეძლო.

ახალი ზელანდიის ქალაქ კერიკერის მცხოვრები 24 წლის კევინ ლოიდი ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ სანაპიროსთან წყალქვეშ ნადირობით იყო დაკავებული. მოულოდნელად მას ფეხზე პირი სტაცა მსხვილმა ზვიგენმა.

– მე მას თავში დანის ჩარტყმა დავუწყე, ეს კი მას არ მოეწონა, შემომიტრიალდა და პირი ხელში ჩამავლო, – გაიხსენა ახალგაზრდა მეთევზემ.

ლოიდი ამის შემდეგ მას მეორე ხელით თვალებზე დააწვა, ხოლო მისმა მეგობარმა მტაცებელ თევზს კუდში ჩაავლო ხელი და დაქაჩა. ამის შემდეგ ზვიგენმა მამაკაცს პირი გაუშვა და გაეცალა. ახალგაზრდები კი საკუთარი ნავისკენ გაემართნენ, რომელიც მათგან 200 მეტრში იყო გაჩერებული. ისინი ნავში ავიდნენ და ჭრილობები გადაიხვიეს.

– გამიმართლა, რომ მეგობარი ჩემ გვერდით იმყოფებოდა, მის გარეშე საქმე უფრო უარესად იქნებოდა.

მათ გზად უცხო პიროვნებაც აიყვანეს ნავზე, რომელიც მათგან მოშორებით ყვინთავდა და ნაპირისკენ გაცურეს. საავადმყოფოში ლოიდს ხელზე ათი ნაკერი დაადეს, ფეხზე ჭრილობის გაკერვიდან კი, მისი განსაკუთრებული დაზიანებებისა და დაინფიცირების საფრთხის გამო, თავი შეიკავეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# გლდანში წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარი აშენდება

გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის შუამდგომლობით გლდანის „ა“ მ/რ-ის ტერიტორიაზე ტაძრის ასაშენებლად მიწა გამოიყო.

საკრებულოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეკლესიისთვის განკუთვნილი ტერიტორია ბარბარობის ბრწყინვალე დღესასწაულზე აკურთხეს და აქ სამშენებლო სამუშაოები ერთ კვირაში დაიწყება.

– ცერემონიას მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე, გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე, „თბილისზე მზრუნველის“ წოდების მატარებელი თემურ გოცირიძე, სასულიერო პირები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდნენ.

უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარი წმინდა მოწამე ქალწულ ბარბარეს სახელობის იქნება.

მშენებლობის ინიციატორები მამა დავითი და მამა ზაზა მსახურებას ახალ ტაძარში გააგრძელებენ, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ასტროპროგნოზი

## 19 დეკემბრისათვის



**ვერძი** – შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პარტნიორების მხარდაჭერის იმედი გქონდეთ. **კურო** – ხელსაყრელი წინადადება თქვენს ინტერესს გამოიწვევს. ვარსკვლავები სამუშაო ადგილის შეცვლას ჯერჯერობით არ გირჩევენ. **ტყუპები** – წინდაუხედავად ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით. ეცადეთ, ჭორებს ყურადღება არ მიაქციოთ. **კირჩხიბი** – ფულსა და ენერგიას ფუჭად ნუ გაფლანგავთ. წარმატებას ზედმეტად ემოციურად ნუ მიიღებთ. **ლომი** – ფანტაზიას გასაქანი მიეცით. დღეს სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **ქალწული** – საქმიანი შემოთავაზება სპონტანურად არ მიიღოთ. ჯერ დაფიქრდით და სიტუაცია აწონ-დაწონეთ. **სასწორი** – კარიერაში ცვლილებებია მოსალოდნელი. ჯანმრთელობას მიხედეთ. **ღრიანკალი** – საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. ისეთ საქმეს ნუ შეეჭიდებით, რომელშიც კარგად არ ერკვევით. **მშვილდოსანი** – საოჯახო საქმეებისთვის დრო გამონახეთ. ერიდეთ ცვლილებებს პროფესიულ სფეროში. **თხის რქა** – უფროსობა თქვენი აქტიურობით კმაყოფილია. ასე განაგრძეთ. **მერწყული** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და სულგრძელობა. თავისუფალი დრო საყვარელ ადამიანთან გაატარეთ. **თევზები** – ზომიერად დაიტვირთეთ. ერიდეთ ფიზიკურ შრომას. სხვისი დახმარების იმედი დღეს ნუ გექნებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 2. სამეგრელოსა და ლანჩხუთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. მაგნიტის ბერძნული სახელწოდება; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 8. ნავთობის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 11. ირლანდიის დედაქალაქი; 14. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 15. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. დროებით სხვას შეკედლებული პირი; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 22. სამხრეთ კორეის დედაქალაქი.

**თარაზულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 7. ისტორიული ციხე-სიმაგრე ახალციხეში; 9. მაისის თვის ქართული სახელწოდება; 10. უღელტეხილი აჭარაში; 12. კურკოვანი ხილი; 13. უძველესი ქართული სამეფო; 16. ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრებული პირი; 17. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 18. დროებითი, პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 20. სათამაშო სახლი, კაზინო; 22. ჟოკეის წკეპლა; 23. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 24. საჭადრაკო ამოცანა; 25. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დუმბაძე; 2. სელი; 3. ჰერცი; 4. არქივი; 6. დინდგელი; 9. რობაია; 13. სექვოია; 14. გურიელი; 15. ბისტრო; 17. ფოლგა; 18. ზაქსი; 20. ლეკი.

**თარაზულად:** 1. დასლერი; 5. შოუდუ; 7. თემშარა; 8. მოლიერი; 10. ღვინო; 11. ცხუმი; 12. რაბათი; 16. ჯუნგლი; 17. ფრეზა; 19. ქაჯი; 21. უტზონი; 22. ეგრისი; 23. ბირანო; 24. ბიზონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. კელნერი; 3. პაპირუსი; 4. ორანჟერეა; 5. ქეიფი; 6. იემენი; 11. გლორია; 14. არითმეტიკა; 16. ტელევიზია; 17. მარიხი; 19. აზნაური; 21. დიუმა; 22. უნაბი.

**თარაზულად:** 1. აკაპულკო; 5. ქაჯი; 7. ელგუჯა; 9. კლეპტომანია; 10. მატრონა; 12. ონტარიო; 13. პარხალი; 16. ტრაილერი; 17. მახა; 18. ჰალვა; 20. ახმეტელი; 22. უფიცა; 23. ბადახში; 24. ზედაშე; 25. მარკა.

# რეჟისორი რეზო შატაკიშვილი დახმარებას ითხოვს

მინის თეატრის დამფუძნებელი, ჟურნალისტი და რეჟისორი რეზო შატაკიშვილი დახმარებას ითხოვს და სწავლისთვის თანხის შეგროვებას უცნობებისა თუ ნაცნობების თანადგომით აპირებს:

– მოგმართავთ თხოვნით. წინა საუკუნეში, ჯავახიშვილში იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებიდან 6 წლის შემდეგ, 2005 წელს ჩავაბარე თეატრალურში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, დრამის ფაკულტეტზე თეატრის რეჟისორის სპეციალობაზე. დავამთავრე ბაკალავრიატი. შემდეგ მაგისტრატურა რობერტ სტურუას ჯგუფი. საქართველოში პირველს მომენიჭა თეატრალური ხელოვნების მაგისტრის წოდება. დოქტორანტურა 2013 წელს დავამთავრე... წესით, 5 წლის წინ უნდა დამეცვა დისერტაცია და გავმხდარიყავი თეატრალური ხელოვნების დოქტორი, მაგრამ დისერტაცია დღემდე ვერ დავიცავი ფინანსური დავალიანების გამო. აქვე უნდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად მიწყობდა ხელს სწავლის საფასურის გადახდის გადავადებით, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე დავალიანების 4.000 ლარის დაფარვა.



ახლა უკვე ყველა ვადა მეწურება და უმოკლეს ვადაში თუ არ დავფარავ სწავლის საფასურს, არ დავიცავ დისერტაციას, ტენესი უილიამსის დრამატურგიაზე და არ დავდგამ საკვალიფიკაციო სპექტაკლს უილიამსის „ტრამვაი სახელად სურვილი“, დოქტორანტურაში სამწლიანი სწავლაც წყალში ჩამეყრება, ეს ხუთწლიანი პაუზაც და თავიდან მომიწევს დოქტორანტურის გავლა.

მთელი ეს წლები იმედი მქონდა, რომ როგორღაც რამეს მოვახერხებდი, დავალიანებას დავფარავდი და დისერტაციას დავიცავდი. ახლა ვადაც ამომეწურა და იმედიც. თქვენს იქით მართლა არ მაქვს არანაირი გზა. იმედია, არ დამძრახავთ. თუმცა, ვისაც სურს დამძრახოს, არც ესაა პრობლემა.

მოგმართავთ თხოვნით, ვისაც გაქვთ საშუალება, დამეხმარეთ მცირედი თანხებით, რომ როგორმე შევაგროვო ეს თანხა, გადავიხადო დავალიანება და დავიცვა დისერტაცია.

# ვითხოვთ, კინო დაუბრუნდეს ხალხს!

ამ მოწოდებით ინტერნეტში სპეციალური გვერდი შეიქმნა, სადაც რიგითი ადამიანები კინოს სახლის კინოს დარბაზის გარემონტების შემდეგ, ნამდვილი კინოჩვენებების შეწყვეტას აპროტესტებენ:

– კინოს სახლის კინოს დარბაზის გარემონტებას მოჰყვა ის, რომ თბილისში აღარ დარჩა კინოთეატრი, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს ნამდვილი კინოს ჩვენებები. მუნიციპალური კინოთეატრების არ არსებობის პირობებში, საინტერესო პროგრამისა და ხელმისაწვდომობის გამო, ეს დარბაზი მრავალი წლის განმავლობაში ერთადერთი თავშესაფარი იყო კინომოყვარულებისთვის და ქალაქის კულტურული ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

მიუხედავად ადმინისტრაციის დაპირებისა, რომ გარემონტების შემდეგ დარბაზში სეანსები აღდგებოდა, ასე არ მოხდა და ის მხოლოდ გაქირავებისთვის გამოიყენება.

ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ საკითხზე რეაგირება. ჩვენ ვითხოვთ, კინო დაუბრუნდეს ხალხს! – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ათასობით მოწოდება და გაზიარება აქვს.



# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დააჯილდოვეს



სულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დააჯილდოვეს.

მისი უწმინდესობა გამარჯვებული გახდა ნომინაციაში „ერის იდენტობის გამომხატველი ქართული სახელი“.

– დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად. ვიფიქროთ, ვინ ვართ ჩვენ და სად მივდივართ. ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს კულტურას, ჩვენს სულიერებას, ჩვენს ეკლესიას, ჩვენს ხალხს, – განაცხადა მისმა უწმინდესობამ პრიზის გადაცემისას.

# საქველმოქმედო საღამოს, რომელიც სამ ბენეფიციარს უნდა დაეხმაროს, ჩაშლა ემუქრება

მსახიობი ნატო გაგნიძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ 19 დეკემბერს საქველმოქმედო ფონდის „ცხოვრება მშვენიერია“ მიერ თბილისის საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ საქველმოქმედო კონცერტს ჩაშლა ემუქრება:

– უკვე მეორედ დგას ჩაშლის საფრთხის წინაშე ეს საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც 3 ბენეფიციარის დასახმარებლადაა დაგეგმილი. ასეთი თხოვნა-მოწოდებები, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია, ვიცი, მაგრამ მაინც გთხოვთ, გაავრცელოთ და თუ შესაძლებლობა გექნებათ, ბილეთებიც შეიძინოთ, – აცხადებს მომღერალი.

კონცერტი 23 წლის ლუკა ალიბეგაშვილის, 32 წლის ანა მამულაშვილის და 15 წლის ქეთი ქარუმიძის გადასარჩენად ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ბიგ ბენდი, ლელა წურწუმია, მაკა ზამბახიძე და ბენდი ნონსტოპი, სამეფო ნაციონალური ბალეტი ფოცხიშვილები და ქართული ხმები.




კონცერტიდან შეგროვილი თანხა მთლიანად ლუკას, ანას და ქეთის გამოჯანმრთელებას მოხმარდება, რომლებიც სიცოცხლისთვის იბრძვიან.



# „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ გიორგი გილიგაშვილი და სალომე ჭაჭუა გამოეთიშნენ

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ ფინალს უახლოვდება. პროექტში სულ უფრო ნაკლები მონაწილე რჩება და დაძაბულობაც პიკს აღწევს.

შოუს მერვე სეზონის მეათე ეპიზოდში ჟიურის კიდევ ერთი წევრი დაემატა. ნინო სუხიშვილთან, სოფო შევარდნაძესთან და გოჩა ჩერტკოევთან ერთად კონკურსანტებს მომღერალი ანრი ჯოხაძეც აფასებდა.

მაყურებლის და ჟიურის გადაწყვეტილებით, ლიდერები გახდნენ ირინკა კავსაძე და ოთო ფოლადაშვილი.

პროექტის აუთსაიდერებად კი ამიკო ჩოხარაძის და ჯულიანა ბარგ ნარის და გიორგი გილიგაშვილის და სალომე ჭაჭუას წყვილები დასახელდნენ. საბოლოო გადაწყვეტილებით კი პროექტი გიორგი გილიგაშვილმა და სალომე ჭაჭუამ დატოვეს.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მერვე სეზონის ნახევარფინალში იცეკვებენ ამიკო ჩოხარაძე და ჯულიანა ბარგ ნარი, რუსკა ქარქაშაძე და იაკობ ყუფუნია და ირინკა კავსაძე და ოთო ფოლადაშვილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# „მხოლოდ ქართული“ მზიკო ფარტენაძემ დატოვა



მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართული“ უკვე მეორე კონკურსანტმა დატოვა.

მაყურებლის და ჟიურის გადაწყვეტილებით, პროექტს მზიკო ფარტენაძე გამოეთიშა.

კონკურსანტებმა ცნობილი სიმღერების ახლებური ვერსიები შეასრულეს და მაყურებლისგან დამსახურებული კრიტიკაც დაიმსახურეს, რადგან მაყურებელთა უმრავლესობამ სიმღერების საშინელი ახლებური ვერსიები გააპროტესტა.

მაყურებლის და ჟიურის რჩეული უკვე მეორე საკონკურსო ტურია გიორგი კელაპტრიშვილი გახდა 120 ქულით. როგორც მაყურებელმა აღნიშნა, გიორგი იყო ერთადერთი, ვინც მეორე საკონკურსო ტური საბოლოოდ ჩაფლავებას გადაარჩინა.

# კუბოდან ამომავალმა ხმებმა ქალის დასაფლავება შეაჩერა

არგენტინაში დაკრძალვის პროცესიის მონაწილეებს კუბოდან კვნესის ხმა შემოესმათ. ისინი იძულებულნი გახდნენ ცერემონია შეეწყვიტათ და კუბოში ჩასვენებული ქალი საავადმყოფოში გადაეყვანათ.

ინციდენტი ქვეყნის დედაქალაქ ბუენოს-აირესში მოხდა. ნათესავები 65 წლის ქალის ცხედარს სასაფლაოზე მიასვენებდნენ, როდესაც კუბოდან კაკუნის და კვნესის ხმა შემოესმათ. მათ მძღოლს სთხოვეს, დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წასულიყო, რათა შეემოწმებინათ, ცოცხალი იყო თუ არა მათი ნათესავი.



ექიმებმა ქალის სხეული შეამოწმეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქალი, როგორც მინიმუმ, ერთი დღის გარდაცვლილი იყო.

რიტუალების სააგენტოს თანამშრომლების ვარაუდით, ხმები, რომლებიც კატაფალკაში მჯდომებმა გაიგონეს, შესაძლოა გარდაცვლილი ტრაქეადან გამომავალი შიდა გაზებით იყო გამოწვეული.

# ტურისტს ტელეფონი ნიანგებით სავსე მდინარეში ჩაუვარდა

კოსტა-რიკაში ტურისტს მობილური ტელეფონი ჩაუვარდა მდინარეში, რომელიც ნიანგებითაა სავსე.

თვითმხილველმა მომხდარის შედეგი ვიდეოზე გადაიღო. ვიდეორგოლი იმ დროს იწყება, როდესაც ტელეფონი უკვე ჩავარდნილი იყო, ხოლო მისი აწ უკვე ყოფილი მფლობელი ტრაგიკული გამომეტყველებით იყურება ხიდიდან მდინარეში და მისტირის მას, რომელიც სამ დიდ ნიანგს შორის ჩავარდა.

ვიდეორგოლმა ინსტაგრამში გამოქვეყნების შემდეგ 375 ათას ნახვაზე მეტი მოაგროვა. ბევრმა ინტერნეტ-მომხმარებელმა მდინარე ტარკოლესზე გადებული ხიდი იცნო. აღნიშნული მდინარე პუნტარენასის პროვინციაში მიედინება და ნიანგებითაა სავსე.



*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6656 | ევრო — 3.022 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3613 | 100 რუსული რუბლი — 4.0048 |

## ამინდის პროგნოზი 19 დეკემბრისთვის




# ადრიან რაბიო პსჟ-დან მიდის



პსჟ-ს ახალგაზრდა ნახევარმცველი ადრიან რაბიო გუნდს დატოვებს, თუმცა უცნობია, როდის მოხდება ეს.

ზაფხულში მას კონტრაქტი უმთავრდება და, სავარაუდოდ, პსჟ იანვარში შეეცდება მის გაყიდვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაბიოში პსჟ არანაირ ფულს არ მიიღებს.

რაბიოს შეძენა რამდენიმე ევროპულ გრანდს სურს, მათ შორის ბარსელონაც სახელდება, თუმცა ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა.

საუბარია იუვენტუსზეც, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 40 მილიონი გადაიხადოს.

# პეპემ ბეშიქთაში დატოვა



პორტუგალიელმა მცველმა პეპემ თურქული ბეშიქთაში დატოვა და ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს ის კარიერას. ასევე უცნობია, რა გახდა პეპეს ბეშიქთაშიდან წასვლის მიზეზი.

პეპე თურქულ გუნდს 2017 წლის ზაფხულში შეუერთდა, მანამდე კი ათი წლის განმავლობაში მადრიდის რეალის ღირსებას იცავდა, სადაც სამჯერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მოგება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# მოკლული ნიანგის მუცელში გოგონასა და მეთევზის ნარჩენები იპოვეს



ზამბიაში ხელისუფლებამ მიაგნო და მოკლა ნიანგი, რომელიც მთელ ოლქს ატერორებდა.

ინციდენტი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე პროვინცია ლუაპულაში მოხდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ბუნების დაცვისა და ეროვნული პარკების დეპარტამენტის წარმომადგენლებს თხოვნით მიმართეს, დაეჭირათ რეპტილია, რომელმაც 18 წლის გოგონა მოკლა.

პრეშეს კაუნდა ნიანგის მსხვერპლი რამდენიმე დღის წინ გახდა, როდესაც ის ტბაში ბანაობდა, სადაც ის მეგობრებთან ერთად მშობლების ნებართვის გარეშე იყო წასული.

მოკლული ნიანგის მუცელში იპოვეს გოგონას მარცხენა ფეხი. ასევე იქ აღმოჩნდა სხვა ადამიანის სხეულის ნაწილებიც, სავარაუდოდ, მეთევზის.

# პოლიციელმა ცეცხლმოდებული სახლიდან გადმომხტარი ბავშვი დაიჭირა



აშშ-ში პოლიციელმა მოახერხა ბავშვის დაჭერა, რომელიც ცეცხლმოკიდებული სახლის მეორე სართულიდან გადმოხტა.

ინციდენტი ტეხასის შტატის ქალაქ დალასში მოხდა. პოლიციელები ხანძრის ადგილას მივიდნენ და აღმოჩნდა, რომ მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, სადაც ქალი და ბავშვი იმყოფებოდნენ, ცეცხლის ალში იყო გახვეული. ისინი ქალს უყვიროდნენ, რომ ფანჯარა გაეღო, მაგრამ ის ამას ვერ ახერხებდა.

მაშინ ერთ-ერთმა პოლიციელმა ხელკეტი ესროლა და ფანჯრის მინა ჩაამსხვრია. მან ქალს დაუძახა, რომ ფეხი დაერტყა, რათა შუშის დარჩენილი ნაწილებიც დამსხვრეული ყო. სამმა პოლიციელმა 10 წლის ბიჭი ფანჯრიდან გადმოხტომაზე დაითანხმა და ერთ-ერთმა მათგანმა ის დაიჭირა. როგორც კი ბიჭი ძირს ჩამოსვეს, მაშინვე დედით დაინტერესდა. პოლიციელებმა ის საბანში გაახვიეს და უთხრეს, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ, ფანჯარასთან კიბე აღმართეს და ქალი გამოიყვანეს.

ამ შემთხვევის შედეგად არც დედა და არც მისი შვილი არ დაშავებულან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იუმორი

ცირკიდან დაბრუნებული პატარა სეროჟა მამას შთაბეჭდილებებს უზიარებს:

– მამა, იქ ყველაფერი ისე მაგარი იყო! აკრობატები, ფოკუსნიკები, ვეფხვები მომთვინიერებლებით და ძალიან სასაცილო მასხარები. მეორე განყოფილებაში კი მრბოლელი მოტოციკლით კედლებზე დადიოდა! როდესაც გავიზრდები, მეც ვისწავლი მოტოციკლის ტარებას და ასეთ ატრაქციონში გამოვალ!

– შვილო, სეროჟ, სომეხი მოტოციკლზე უკვე ატრაქციონია და კედლებზე სიარული საჭირო აღარაა.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმრის ტელეფონში ვნახე კონტაქტი „უფასო სექსი“...

– მერე არ შეამოწმე?

– შევამოწმე, დავრეკე და როდესაც ჩემმა ტელეფონმა დარეკა, კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი...

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ექიმო, ჩვენმა ბიჭმა ცოცხალი თაგვი გადაყლაპა!

– ახლავე გამოვდივარ, თქვენ კი მანამდე ბავშვს პირი ფართოდ გააღებინეთ და ყველის ნაჭერი გეკავოთ, იქნებ თაგვი თავადვე გამოძვრეს.

ადგილზე მისული ხედავს, რომ ფართოდ პირდაღებული ბავშვის წინ დედამისს თევზის ნაჭერი უჭირავს.

– რას აკეთებთ? მე ხომ გასაგებად გითხარით, რომ ყველის ნაჭერი უნდა დაგეჭირათ?

– იცი რა ექიმო, ახლა უკვე კატის გამოტყუებას ვცდილობთ...

●●●

კლიენტი ბანკის თანამშრომელს ეკითხება:

– თქვენი ბანკი კრედიტს პატიოსან სიტყვაზე იძლევა?

– უპრობლემოდ.

– და თუ არ დავაბრუნებ?

– მაშინ სირცხვილით დაიწვებით, როდესაც უფლის წინაშე წარდგებით.

– ეგ როდის მოხდება...

– ხუთში თუ არ დააბრუნებთ, ექვსში...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი




ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# ირმების დამხოცველს მულტფილმ „ბემბის“ აყურებინებენ



ამერიკელ დევიდ ბერი-უმცროსს ასეულობით ირმის მოკვლისთვის ერთი წლით პატიმრობა ელის. ამ დროის განმავლობაში მას მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც მოუწევს მულტფილმ „ბემბის“ ყურება.

ბერი-უმცროსის შემთხვევას, ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მასშტაბის შემთხვევას უწოდებენ მისურის შტატის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ ის ირმებს თავების გამო ხოცავდა, ხოლო სხეულს ტყეში ტოვებდა.

პოლიციამ ბრაკონიერის სამი ნათესავი და ერთი ახლობელიც დააკავა. მათ სასამართლო ხარჯების 51 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრათ.

# ჭუჭყიანი წინდების ყნოსვამ ჩინელს თავი რეანიმაციაში ამოაყოფინა

ჩინეთში მამაკაცმა ფილტვების სოკოს ინფექციით დაავადების გამო საავადმყოფოში ამოჰყო თავი. ამის მიზეზი კი ჭუჭყიანი წინდების ყნოსვის ჩვევა გახდა.

ინციდენტი ფუცზიანის პროვინციის ქალაქ ჩჟანჩჟოუში მოხდა. მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს. მას სული ეხუთებოდა, ექიმებმა დაუყოვნებლივ გადაუღეს რენტგენი და დაადგინეს, რომ მას ფილტვების სერიოზული ინფექცია ჰქონდა. ასე რომ, მამაკაცს სტაციონარული მკურნალობის კურსის გავლა მოუწევს.

როგორც ექიმებმა გაარკვიეს, ჩინელის დაავადების მიზეზი ყოველდღე ჭუჭყიანი წინდების ყნოსვის ჩვევა გახდა. მან არ იცოდა, რომ ფეხების სოკოთი იყო დაავადებული და მისი სპორები შეისუნთქა. ისინი კი ფილტვებში მოხვდნენ და ინფექციის განვითარება გამოიწვიეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 2. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 3. ძვირფასთვლებიანი ქალის ყელსაბამი; 4. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 9. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 13. ბრიტანული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 14. მატყუარა, ყალბისმქმნელი ადამიანი; 15. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 17. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 18. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკული სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა; 20. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში.

**თარაზულად**: 1. კუთხე საქართველოში; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 10. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 11. საშემოდგომო ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 12. ალექსანდრე მაკედონელის კარზე მოღვაწე მოქანდაკე, მხატვარი; 16. დიდი ციმბირული ირემი; 17. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 19. უკრაინის პარლამენტი; 21. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისათვის; 22. ერთად აკინძული სურათების, ნახაზების, ილუსტრაციების კრებული; 23. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 24. რეგიონი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*